



# ახალი ტანათლებ

№11 (485) ბაზოლის 1998 წლიდან



„საიდუმლო სერობა“, მერაბ აბრამიშვილი

ტროპარი: „რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლებოდეს, მაშინ უსჯულო იულა ვეცხლის მოყვარებისა სენითა დაბნელებოდა, და უსჯულოთა მსაჯულოთა შენ, მართალსა მსაჯულოსა, მიგცემდა. იხილეთ, მორწმუნენო, გრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთვის შიშთეილია, ივლტოდე უბლებისა მისგან სულისა, რომელმან მოძღვარსა თვისსა ზედა ესე ვითარი იკადრა, არამედ რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგე, კაცთმოყვარე, დიდება შენდა.“

## კიდევ ერთი ნახიჯი პროფესიული სწავლების მხარდასაჭერად

პროექტის skills@work დასკვნითი ეტაპი ხორციელდება. ბრიტანეთის საბჭომ ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლების რეფორმის ხელშესანყობად, უკვე მესამე წელია, სამუშაო უნარების პროგრამა დაიწყო. პროექტი რამდენიმე კომპონენტს მოიცავს და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის 9-ზე მეტ ქვეყანაში, მათივე მოთხოვნებისა და საჭიროების, მიხედვით მიმდინარეობს.

საქართველოში ეს პროექტი ოთხივე კომპონენტს მოიცავს. პირველი კომპონენტი კოლეჯებს შორის პარტნიორობაა (ამ კომპონენტის ფარგლებში ტურიზმის კოლეჯმა პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა შოტლანდიის, კერძოდ, დანდის კოლეჯთან); მეორე კომპონენტი პროფესიული სასწავლო ცენტრების დამსაქმებლებთან დიალოგს განიხილავს; მესამე – ყოველწლიური კონკურსია პროფესიული სასწავლო ცენტრებისთვის და მეოთხე – კვლევა, რომელიც მხოლოდ აზერბაიჯანში, საქართველოში და სომხეთში განხორციელდა. ბრიტანეთის საბჭომ განახორციელა კვლევა, 2009 წლის მარტ-მაისში, იმ ძირითადი აქცენტების გამოსავლენად, რომელიც დამსაქმებლებსა და მოსწავლეებს პროფესიული განათლების მიღებასა და გადამზადებაში დაეხმარება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 150-მა რესპონდენტმა – 100 მოსწავლე და 50 დამსაქმებელი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ, სამწუხაროდ, ახალგაზრდები პროფესიულ სასწავლებლებს პირველად განათლებად არ ირჩევენ; აუცილებელია უცხო ენების ცოდნა, მათ შორის ინგლისური ენა გადამწყვეტი; დამსაქმებლები უშუალოდ უნდა იყვნენ ჩართულები პროფესიულ გადაზადებაში, რა-

თა მიიღონ ის, რაც სჭირდებათ – პროფესიული კადრები.

ბიზნესის წარმომადგენლები თანდათან აცნობიერებენ სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის აუცილებლობას და თავიანთ წვლილს მომავალი თაობის განათლებისა და პროფესიული განვითარების საქმეში. სწორედ ამ თემას მიეძღვნა კონფერენცია თბილისი-მარიოტში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიული სასწავლებლის, ბიზნესის სფეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. დიალოგი პროფესიულ სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის, პირველ რიგში, თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს უზრუნველყოფს. კონფერენციაზე წარადგინეს ბრიტანელი კონსულტანტის, ჯორჯ პიტაგის დახმარებით შექმნილი სახელმძღვანელო, რომლის ქართველი ავტორები არიან: თამარ ტაბიძე და მაია წერეთელი. „სასწავლო-სამეწარმეო“ პარტნიორობის გზამკვლევი“ პროფესიულ განათლებასა და დამსაქმებლებს შორის ეფექტური თანამშრომლობის გზების ძიებას ეხება. ამ გზებში კი, პირველ რიგში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება მოიაზრება – პროფესიული სასწავლო ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და მრავალფეროვანი პრიორიტეტული პროგრამების შეთავაზება. ასევე, აუცილებელი პირობაა, ბიზნესის წარმომადგენლებმა და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ერთად იმუშაონ მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მოსამზადებლად.



# კიდევ ერთი ნაბიჯი პროფესიული სწავლების მხარდასაჭერად

პირველი გვერდიდან

**თამარ ტაბიძე**, პროფესიული სასწავლო ცენტრ „იკაროსის“ დირექტორი, „გზამკვლევის“ ავტორი: „მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში მწვავედ დგას უმუშევრობის პრობლემა, მერნუნეთ, დამსაქმებელთა და ბიზნესის მხრიდან დიდია მოთხოვნა პროფესიულ კვალიფიციურ კადრებზე. ძალიან დიდი შეუსაბამობაა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, დაუსაქმებელ პირთა სიჭარბით და, მეორე მხრივ, კადრების ნაკლებობით. მიზეზი ნათელია: დღეს დაუსაქმებელი ადამიანების 80 პროცენტი არ პასუხობს იმ თანამედროვე მოთხოვნებს, რასაც დამსაქმებელი მათ წინაშე აყენებს, ეს მოთხოვნები კი პროფესიული უნარების ცოდნაა. ეს პრობლემა უნდა აღმოიფხვრას, რაც ერთდროულად ორ პრობლემატურ საკითხს გადაჭრის – შეამცირებს უმუშევრობას, ანუ სოციალურ პრობლემას და მეორე, ბიზნესმენს კვალიფიციური კადრით უზრუნველყოფს, რითაც ხელს შეუწყობს დამსაქმებლისა და პროფესიული ცენტრის თანამშრომლობას. პირველ რიგში, მაინც პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერებაა საჭირო. ამ სფეროში მაქსიმალური თანხები უნდა ჩაიდოს, იქნება ეს მასწავლებელთა გადამზადება თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-რეაბილიტაცია. პროფესიული სფეროს გაძლიერება კი მართლაც საფუძველია ქართული ეკონომიკის გაძლიერებისა. ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი მიზანიც ამ გზამკვლევის შექმნისას. წინაშე შეუდგას რეკომენდაციები როგორც დამსაქმებლებისთვის, ისე იმ სასწავლო დაწესებულებებისთვის, ვინც მათ კადრები უნდა მოუმზადონ, ანუ ეს იქნება გზამკვლევი მათი ურთიერთთანამშრომლობის დაგეგმვისა და პარტნიორობის განვითარებისთვის.“

სხვადასხვა მცდელობების მიუხედავად სისტემა ჯერ მაინც ჩანასახის მდგომარეობაშია, სერიოზული ძალისხმევა საჭიროება მის სრულყოფას, მაქსიმალური მობილიზება გვამართებს. ყოველწლიურად, ათასობით კურსდამთავრებულიდან მხოლოდ მეთხუთმედი მიდის უმაღლეს სასწავლებელში, დანარჩენი კი უბრალოდ, ასე ვთქვათ, ყოველგვარი განათლების მიღმა, ყოველგვარი ხელობის ან პროფესიის გარეშე რჩება. ეს სიცარიელე რომ შევავსოთ და ახალგაზრდები არ დავტოვოთ პროფესიული განათლების, ხელობის გარეშე, საჭიროა სასწრაფოდ ყველა პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია. რეალური და ლირსული დაფინანსება საჭიროება სისტემას, რადგანაც მთელ მსოფლიოში პროფესიული განათლება ძვირადღირებული განათლებაა. ბუნებრივია, მინიმალური თანხებით პროფესიული სწავლების სისტემას ვერ განვითარებთ, მით

უფრო, როცა სისტემის შემადგენელი კომპონენტები ან თავიდან ჩამოსაყალიბებელი ან განსავითარებელი.

საჭიროა პროფესიული მასწავლებლის მომზადება, საერთოდ, ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკაა გადასახედი, რადგან, ჩემი აზრით, უფრო სერიოზული მიდგომაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდანაც. სამი წლის განმავლობაში, რაც პროფესიული განათლების რეფორმა დაიწყო, რაღაც ვაკეთდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია და, რაც მთავარია, ვფიქრობ, მეტის ვაკეთება შეიძლება. ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერა **skills@work** პროექტის განხორციელებით, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია. იმედია, ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეს გამოცემაც გარკვეულ როლს შეასრულებს, მართლაც გზამკვლევი გახდება სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის დაგეგმვისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზაზე“.

ბრიტანეთის საბჭოს ამგვარი დამოკიდებულება პროფესიული განათლების სფეროსადმი კეთილი ნების გამოხატვა და ქვეყნის პრიორიტეტული საკითხებისადმი თანადგომაა.

**ეკა ფახურიძე**, ბრიტანეთის საბჭოს მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი: „ბრიტანეთის საბჭო ცდილობს, შეძლებისდაგვარად, დაეხმაროს ქვეყანას იმ სფეროში, რაც მისთვის პრიორიტეტულია. სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა სივრცეს გაეცა, პრიორიტეტი და პრობლემა სახელობო განათლებაა. პროფესიული განათლება ძალიან დაბალ დონეზეა, ყველა უმაღლესი სასწავლებლებისკენ ისწრაფვის, არადა ქვეყანას საჭიროება პროფესიონალი, სხვადასხვა ხელობის კადრები. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, ბრიტანული გამოცდილების გაზიარებით, პროფესიული განათლების სფეროს ლობიოება ვაგვეწი და შეძლებისდაგვარად დაავხმარებოდით, რათა მართლაც პრიორიტეტული გაგვეხად პროფესიული განათლება. ტურიზმის კოლეჯის „იკაროსი“ ბავშვები წავიყვანეთ შოტლანდიაში და ცოტა ხანი იქ მუშაობდნენ, ორი სტუდენტი აქ ჩამოვიდა. ბრიტანელმა ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ ბიზნესმენებს და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებს ურთიერთ-თანამშრომლობისა და დაახლოების თაობაზე, რაც მთავარია ორივე მხარეს დაანახეს თანამშრომლობის, პარტნიორობის აუცილებლობა. ამ ორი რგოლის დაახლოების შედეგად პროფესიული სასწავლო ცენტრებში შეირჩევა სერიოზულ კომპანიებში დასასაქმებელი კადრები. ჩვენი პროექტის მიმდინარეობაში ჩართულია პროფესიული სასწავლებლები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ოთხი

კომპონენტისაგან შემდგარი პროექტი, ვფიქრობთ, შედეგადაც აღმოჩნდა.“

უკვე მეორე წელია პროექტის ფარგლებში ტარდება კონკურსი **Skills@Work Challenge** – ეროვნული ბიზნეს ასპარეზი. კონკურსი იმართება სამხრეთ-აღმოსავლეთის 9 ქვეყანასა და დიდ ბრიტანეთში. **Skills@Work Challenge** – ბიზნეს ასპარეზი წარმოადგენს კონკურსების სერიას ეროვნულ დონეზე, რომლის მიზანია, წახალისოს ახალგაზრდები თავიანთი უნარ-ჩვევები გამოიყენონ სამეწარმეო მიზნებისათვის, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას და სამეწარმეო გამოცდილების გაღრმავებას. წელს კონკურსი გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GTZ) ერთად გაიმართა. ნახევარფინალში 200-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა, ხოლო ფინალისთვის 7 გუნდი (35 სტუდენტი) შეირჩა. ეროვნული ფინალი **JA** საქართველოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 28 მარტს გაიმართა და მონაწილეობდნენ ბათუმისა და თელავის პროფესიული სასწავლებლების გამარჯვებული გუნდები, ასევე, ფავორიტ გუნდად დასახელებული გორის უნივერსიტეტთან არსებული სახელობო სასწავლებლის პროგრამის მოსწავლეები. პროექტის ბიზნესსპონსორმა – **GTZ** (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება) გამარჯვებულ გუნდს პრიზი გადასცა. გარდა ამისა, ეროვნულ ფინალში გამარჯვებულ 3 სტუდენტს, 45 ინოვაციურ ახალგაზრდათა შორის, ევროპულ ასპარეზზე გამარჯვების პერსპექტივა მიეცემათ, 22 აპრილს, სერბეთში გამართულ საერთაშორისო ფინალში.

**ეკა ფახურიძე**: „35 ფინალისტი გვყავდა. საპრიზო ადგილებზე გასულმა ბავშვებმა გადაწყვიტეს ბიზნესსპონსორს შეადგინეს ბიზნეს გეგმა, რომელშიც უნდა ეჩვენებინათ, თუ როგორ ვააპირებდნენ თავიანთ პროფესიულ სასწავლებლებს. პირველ ადგილზე გავიდა თელავის პროფესიული სწავლების ცენტრი, მეორეზე – ბათუმის, მესამე ადგილი ისევ თელავის პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეებს ხვდა ნილად. ბავშვები თორმეტი საათი მუშაობდნენ. გამარჯვებული სამი ფინალისტი საერთაშორისო ფინალზე გაემგზავრება, რომელიც სერბეთში ტარდება. საერთაშორისო ფინალში მონაწილე 45 ბავშვიდან გამარჯვებულები, სავარაუდოდ, დიდ ბრიტანეთში მოგზაურობას მიიღებენ საჩუქრად“.

**პეტერ ვუნში**, პროფესიული განათლების ექსპერტი: „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა დაინტერესებულია ახალგაზრდების განათლებით. ჩვენ სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში, ვახორციელებთ კერძო სექტორის განვითარე-

ბის პროექტებს, რომელიც ასევე გულისხმობს კერძო ინვესტიციების მოზიდვას. იმისთვის, რომ კერძო ინვესტიციები მოვიზიდოთ, აუცილებელია ქვეყანას კარგად მომზადებული კადრები ჰყავდეს. რამდენადაც ჩვენი და ბრიტანეთის საბჭოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, ამიტომაც ჩვერთვით ამ პროექტებში და გადაწყვეტით დაგვეფინანსებინა თელავის ნახევარფინალი და თბილისის ფინალი. ეს პროექტი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისათვის, რომ დამსაქმებლებს მივანოდოთ ისეთი კადრები, როგორც სჭირდებათ. ახალგაზრდებისთვის კი ეს სტიმულის მიმცემია, რათა უკეთ შეძლონ სამომავლო პერსპექტივის დახანჯვა. ზოგადად, ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემას შეუძლია კადრების მომზადება და, ამასთან ერთად, ვალდებულიცაა, რადგან ამის გარეშე ვერ უზრუნველყოფს ბაზარს შესაბამისი მუშახელით. მსგავსი პროექტები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სისტემის განვითარებას.“

**შალვა ალავერდიაშვილი**, „რჩეული სასტუმროების“ ქსელის მენეჯერი: „ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, დამსაქმებლებისთვის – გაცივანით საქართველოს პროფესიული სასწავლებლები და დაინახეთ მათი რესურსები. ჩვენი თანამშრომლობისთვის ეს აუცილებელია, უკვე შეგვიძლია თანამშრომლები ავიყვანოთ არა ქუჩიდან, არამედ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები. ხშირად კადრი მართლაც დეფიციტია, მაგალითად, მესტიაში ახლა ვხსნით სასტუმროს, ჯერჯერობით ვერ ვიპოვეთ ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც მიმტანად იმუშავებს, რადგანაც იქაური მენტალობის ახალგაზრდა ამას არ თანხმდება. დღეს, ასევე, მოლაპარაკება ვანარმოეთ თელავის პროფესიული სწავლების ცენტრთან, რომელიც თელავის სასტუმროსთვის მოგვიმზადებს მიმტანს, ხოლო სილნალის სასტუმროსთვის – ადმინისტრატორს. რაც შეეხება იმას, უზრუნველყოფს თუ არა დღევანდელი პროფესიული სასწავლებელი კვალიფიციური კადრის მომზადებას, შემიძლია ვთქვა, რომ, რადგანაც ხარისხი ნულზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე თანახმა ვართ ასეთი კადრი ავიყვანოთ.“

**კონსტანტინე დოლიძე**, თელავის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი: „რაც შეეხება კონკურსს, მართლაც მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, რადგანაც მათი მოტივაცია იზრდება და, რაც მთავარია, მათი პროფესიული უნარ-ჩვევები მაღალ დონეზე, გარდა ამისა, ისინი გუნდურ მუშაობასაც ეჩვევიან. სასიხარულოა, რომ ეროვნულ ფინალში ჩვენი სასწავლებლიდან ორმა ჯგუფმა (პირველი და მესამე ადგილები) გაიმარჯვა.“

პროფესიული ცენტრებისა და დამსაქმებლების ურთიერთთანამშრომლობა დღეს საწყის ეტაპზეა. პროფესიული სასწავლებლები, ძირითადად, არარეაბილიტირებულია, ანუ არ გვაქვს იმ სტანდარტის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელმაც ხარისხიანი კადრი უნდა მოამზადოს. ჩვენი საბოლოო შედეგი, ბუნებრივია, დამსაქმებლებისთვის კვალიფიციური კადრის მიწოდებაა. ეს კი, ისევ და ისევ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით მიიღწევა, ანუ ზოგადად სისტემის გაუმჯობესებით. ძლიერი სასწავლებელი, ბუნებრივია, ძლიერ კადრს მოამზადებს.

ჩვენს ცენტრს საკუთრებაში აქვს იყალთოს აკადემიასთან ახლოს მდებარე ორსართულიანი შენობა. თუკი ვინმე ამით დაინტერესდება და ინვესტიციას ჩადებს, სურვილი გვაქვს, ეს შენობა ვაქციოთ უძლიერეს ტურისტულ სასწავლო ცენტრად, სადაც ჩვენი მოსწავლეები ისწავლიან და, ამავე დროს, მოემსახურებიან სტუმრებს.



პროფესიული განათლება

ჩვენი მოსწავლეების, მსმენელების დიდი პროცენტი უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები არიან, ბიზნესკონომიკის კურსდამთავრებულები ჩვენთან ბულალტერიას სწავლობენ. ქართული მენტალიტეტი აქაც წამყვანია, რადგან პირველად განათლებად პროფესიული სასწავლებლის არჩევას მაინც ერიდებიან. არადა, იყო ნებისმიერი პროფესიის კვალიფიციური კადრი, ეს სათაკილო ნამდვილად არ არის. მაინც ვფიქრობ, რომ ამ მენტალობის ნელ-ნელა რღვევას თვითონ სისტემის გაძლიერება გამოიწვევს და პროფესიული ხელობის კადრების დეფიციტიც შეივსებას. "

არმაზ მელაძე, ბათუმის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი: „პროფესიული სწავლების სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფა რომ მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა, ამაზე კარგა ხანია შევთანხმდით. ამ ტიპის მხარდაჭერა არასახელმწიფო სექტორისგან ძალიან მნიშვნელოვანია. არარეაბილიტირებულ სასწავლებლებში მუშაობაც და კადრების მომზადებაც ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, თუნდაც, დღევანდელი დღე გამოდგება ამის საუკეთესო მაგალითად. გარდა ამისა, ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ განახორციელა სერიოზული პროექტი – შენობის ნაწილის რეაბილიტაცია, შემოტანილ იქნა ინვენტარი, დაფუძნდა ცისკოს ლოკალური აკადემია, რომლის პროფილსაც საინფორმაციო ტექნოლოგიური სწავლება წარმოადგენს, სამთავროს აიპი კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელი ცისკოს აკადემიის საერთაშორისო სერტიფიკატს მიიღებს. გარდა ძირითადი მიმართულებებისა, ჩვენთან გახსნილია კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, გვაქვს ძალიან კარგი კომპიუტერული ბაზა, გადაშვადდა ერთი პედაგოგი. სასწავლო ცენტრი მაქსიმალურადაა დატვირთული, წელს მიმდებარა მსურველების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, შემოსული იყო 500-ზე მეტი განცხადება, მათგან 90 მსმენელი მივიღეთ. რაც მთავარია, ცენტრში მაქსიმალურად მოვიზიდეთ საბაზო სწავლების კურსდამთავრებულები, ანუ 15-დან 17 წლამდე ახალგაზრდები, ბუნებრივია გვყავს უმაღლესდამთავრებული მსმენელებიც.



ის, რომ საქართველოში პროფესიული სწავლების ცენტრები გაჩნდა, უკვე წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან პროფესიული განათლებას, წლების განმავლობაში, არანაირი ყურადღება არ ექცეოდა, მეტიც, პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულებს „უიღბლოებს“ ეძახდნენ. ეს დამოკიდებულება, საბედნიეროდ, შეიცვალა და ახლა მოთხოვნადი გახდა პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, მეტიც – ხშირად პირდაპირ დამსაქმებელი გვიკეთებს კადრს. თუმცა, ბუნებრივია, პროფესიული სწავლებლებს, ზოგადად, ამ სისტემას მეტი ხელშეწყობა ესაჭიროება. ვერ გეტყვით, რომ ჩემი სასწავლებელი წარუმატებელია, მაგრამ უმჯობესია კიდევ უფრო წარმატებული იყოს.“

ზურა კარბაია, სააქციო საზოგადოება „ქართული ფოლადის“ სასწავლო ცენტრის უფროსი: „ასეთი ტიპის მხარდაჭერა და

შეხვედრები, ბუნებრივია, პროფესიული სასწავლებლებისათვის შედეგიანია. ჩვენი პროფესია იმდენად ვინრო სპეციალობას გულისხმობს, რომ სასწავლებლებში მომზადება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომაც ადგილზევე, მეტალურგიულ ქარხანაში, ჩამოყალიბდა ცენტრი, სადაც ვამზადებთ ჩვენივე კადრებს. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გვაქვს მუდმივი კონტაქტი და ვიზიარებთ ყველა სიახლეს, რაც პროფესიულ სწავლებას უკავშირდება. ვმონაწილეობთ ტრენინგებსა თუ მსგავსი ტიპის სხვა ღონისძიებებში.“

ფრიდონ ბუაძე, ამბროლაურის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი: „ჩვენი ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობაა, თუმცა რაჭა ტურიზმის კუთხითაც ძალიან მიმზიდველია და ამიტომაც, ამ მიმართულებასაც განვავითარებთ.

როგორც ყველა პროფესიულ სასწავლო ცენტრს, ჩვენს სასწავლებელსაც შენობის რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება სჭირდება. 1991 წლის მინისტრის შედეგად, ჩვენი სასწავლებლის შენობა დაინგრა და ამჟამად პროფესიული სწავლების ცენტრი განთავსებულია შეგუებული ტიპის შენობაში, რომელსაც მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით ვარემონტებთ. ჯერჯერობით, არც სამინისტროს რეაბილიტაციის პროგრამაში ვართ ჩართულნი, სწორედ ამას ველოდებით. ასეთ შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი დამსაქმებელზე კეთდება, მაგრამ თვითდასაქმებულსაც მინდა შევეხოს, რადგან სოფლის მეურნეობაში ადამიანების უმეტესობა საკუთარ მეურნეობაშია დასაქმებული. ჩვენ ვამზადებთ კადრებს მეფუტკრეობისა და მეცხოველეობისთვის, ყველის წარმოების ოსტატებს. ეს გადაშვადების ჯგუფები გაეროს განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამით ფინანსდება.“

გიორგი საფარიძე, სააქციო საზოგადოება „მადნეული“ კადრების სამსახურის უფროსი: „კაზრეთში არის პროფესიული სასწავლებელი, მაგრამ მას, ისევე როგორც დანარჩენ პროფესიულ სასწავლებლებს, სახელმწიფოსგან მეტი მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენს დაკვეთას პროფესიულ კადრებზე ცენტრი ვერ უზრუნველყოფს, რადგანაც არ აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არა აქვს სათანადო მხარდაჭერა სახელმწიფოსგან. ყველაფერი კი გასული წლების შედეგია, რადგან ეს სისტემა წლების განმავლობაში, ინგრეოდა და, ბუნებრივია, რამდენიმე წელიწადში ვერ ავაშენებთ. დამსაქმებლის ინტერესი პროფესიული კადრია, პროფესიული სასწავლებლის ინტერესი კი – მისი მომზადება, რათა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი იყოს, ამ ყველაფერს სახელმწიფოს მხრიდან მეტი დაინტერესება სჭირდება, ერთობლივი ძალისხმევა კი დასაქმების პრობლემას შეამცირებს, ანუ აქ მხოლოდ ერთი როლის ინტერესი არ დევს, ეს არის ჯაჭვი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ინტერესს აერთიანებს.“

ლალი ჯეჯეაძე

საუბრაზე ლიტერატურაზე

სულიერი წყურვილი



რუბრიკას უძღვება თამაზ მასხაძე

სისავსის მაძიებელი პოეტია. მისი შემოქმედება შეიძლება აღვიქვათ როგორც აბსოლუტის მაძიებლის ლირიკული ავტობიოგრაფია, რომელშიც „უჩვევ ნათელთან“ მისაახლოებლად ზეაღსვლა და მიწაზე დანარცხება თუ ჯოჯოხეთში ვარდნა გამუდმებით ენაცვლება ერთმანეთს. ძნელია დასახელო მეოცე საუკუნის პოეტი, რომელიც გალაკტიონზე მწვავედ გრძნობდეს ქრისტიანობისგან გაუცხოების ტრაგიზმს, ღმერთისგან გაუცხოებულ საზოგადოებას საზოგადოებას. ქართულ პოეზიაში ამ მხრივ გალაკტიონთან ყველაზე ახლოს ნიკო სამადაშვილია. გალაკტიონის ისეთ გამორჩეულ ლექსებში, როგორებიცაა „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“, „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“, ტრადიციულ რელიგიურობას დამორეზუგებს მოკლებული ადამიანის გოდება გაისმის... ლექსში „თუ ბრძოლა არ არის“ ეპოქის კრიზისულობის მიზეზად ქრისტიანობისგან მოწყვეტა, რელიგიური ცნობიერების რღვევა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დიქ-

ტატი, ტექნიკურ-ურბანისტული ცივილიზაციის მოძალბა იკვეთება: „მრავალ სახეზე არის ობლობა, მრავალს აშფოთებს რაღაც მონობა: როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა, ვით ავიტანოთ უმაღლონობა? გაჰქრა ზმანება, გაჰქრა ფერია, ნუთუ ბოდღურიც არაფერია? შელიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსსე, ვერლენ? ღმერთი? კაენი? აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში სჩანს აინშტაინი“. გალაკტიონის თვალთახედვით, უღმერთობა ამკვიდრებს არა თავისუფლებას (როგორც ბევრი ფიქრობდა), არამედ „მონობას“ და სულიერ სილატაკეს; რელიგიის დაშრეტა ემპირიკით შეუბოჭავი მხატვრული წარმოსახვის, ღრმა და მაღალი მხატვრული აზროვნების მასაზრდოებელი ნიადაგის გამოფიტვის ტოლფასია. თვით გალაკტიონი ინარჩუნებს ცოცხალ, ნაყოფიერ კავშირს ამ ნიადაგთან. მისი მხატვრული მსოფლალქმა მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფით არის შექსოვილი რელიგიურ, ქრისტიანულ კულტურასთან. გალაკტიონი თავისი იშვიათი პოეტური ინტუიციის წყალობით წვდება და სიტყვაში მოიხელებს ქრისტიანობის უნიკალურ

სულიერ ატმოსფეროს. „ხომაღდს მიჰყვება თეთრი მადონა და ყვავილები გვიადონა“ – როგორი სინამდვილე, ალერსი, სილბო, კეთილი ხარება იღვრება უჩვეულო სიტყვიდან „გვიადონა“... ქრისტიანობის სულის ზედმიწევნითი პოეტური სიზუსტით ამეტყველება შემდგომ ანა კალანდაძის ლირიკის ნიშანდობლივ თავისებურებად მოგვევლინა. გალაკტიონის პოეზიაში იგრძნობა მტკივნეული ნოსტალგია ქრისტიანობის სულიერი დომინირების ხანისადმი, ისევე როგორც ადამიანის წარმოსახვის ტრანსცენდენტურისკენ მიმართავი ქრისტიანული ხატოვანებისადმი, რომელსაც პოეტი სიტყვის მაგიურ ხელოვნებით ახლად ქმნის. „გადა, ლაჟვარდ სირმარეული გუმბათების ქვეშ ხატებს ევლები, მთვარეული და სიზმარეული გერვენებიან სასუფეველები. კვლავ გუმბათიდან უნაზეს ლილას განვიალეებენ სნულ ფერებით – შავ მარმარილოს, თეთრ მარმარილოს და მარმარილოს ვარდის ჩქერებით. გწყურია, ოდეს სანთლები ელავს, ნაიღო სულით აურზაური, ბავით შეეხო მადონას ხელებს და იგრძნო სუნთქვა არაქაური“ („ჩვე-

ნი დღის ამბებს ძალიან მწყრალი...“). გალაკტიონი ბოლომდე აბსოლუტის მაძიებლად, სულიერი წყურვილით შეპყრობილად დარჩა. შესაძლოა, ეს ყველაზე გამჭვირვალედ ჩანდეს გვიანდელ ლექსში „ვარსკვლავია“, რომელშიც ტრანსცენდენტურის უეცარი, გამაოგნებელი გამოანათება უკანასკნელი ლოცვის თუ აღსარების უტყუარობით და სისადავით არის აღბეჭდილი. სამყაროში გამეფებული ამაოების, წყვილადის მიუხედავად მაინც შეიგრძნობა იდუმალი, ნუგეშის მომფენი შუქის არსებობა, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენს ეპოქაში ამგვარი შუქის აღმოსაჩენად სწორედ ისეთი გამოუვალი ამაოების და უკიდურესი სასონარკვეთილების განცდაა აუცილებელი, როგორც გალაკტიონის პოეზიაში ხშირად არის გამუდვებული. „ნეტა როგორ ხდება ასეთ სიბნელოში, ასეთ სიბნელოში შენ ცას რომ ანათებ და შენ ვერვინ გხედავს და შენ ვერ უგრძნობს. ო, რა მიზეზია, ნეტა გაცოდინა, ასეთ დაბრმავების, გასაოცარია, გასაოცარია, ძლიერ, მეტისმეტად! ცრემლიც არ არსებობს, ყველა, ყველაფერი მიდის უდაბნოში...“.

# „დაზოგებით წყალი“



თბილისის 47-ე ბავა-ბაღში (დირექტორი – **ლელა კობახიძე**), 25 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ორიგინალური მეცადინეობა თანამედროვე სტრატეგიებით თემაზე: „დაზოგეთ წყალი“, რომლის მიზანი წყლის ეკონომიურად მოხმარების სწავლებაა საბავშვო ბაღის ასაკიდან.

ლონისძიებს ესწრებოდნენ მონვეული სტუმრები: გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეკოგანათლების და ინტერპრეტაციის მთავარი სპეციალისტი – **ნატო სულთანშვილი**, კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის პროექტის ასისტენტი – **ნინო გაფრინდაშვილი**, ეუთოს პროექტის „გარემო და უსაფრთხო ინიციატივის“ ფარგლებში, „ორ-

ჰუსის“ ცენტრი საქართველოში – ასისტენტი **მენეჯერი, ნინო გვაზავა**.

მთელ მსოფლიოში კლიმატის მკვეთრად შეცვლის, ბუნებრივი კატაკლიზმების გახშირების გამო (როგორცაა წყალდიდობები, ქარიშხლები და სხვ.), მომავალმა თაობამ, რომელიც ხვალ თვითონ იქნება ქვეყნის ბატონი, დღევანდელ, საბავშვო ბაღიდან უნდა ისწავლოს ბუნების დაცვა, სიყვარული და გაფრთხილება. ამ დონეზე უნდა მიიღონ სათანადო ეკოლოგიური განათლება. საბავშვო ბაღში ხშირად აღინიშნება საერთაშორისო დღეები ზეიმებით ან აქციებით. ეს დღეც წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო თარიღი დიდხანს ემახსოვრებათ აღსაზრდელებს.

პატარები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თემის შესაბამისად გამოცანების გამოცნობაში,

ანდაზებში, ლექსებში. მათ კარგად გაართვეს თავი დასმულ კითხვებს: რა აბინძურებს მდინარეს, წყალს, ზღვას? ერთმანეთის შეფასებით ინერებოდა ქულები. გუნდები – „ვეფხვები“ და „ლომები“ მონაწილეობდნენ ეკოლოგიურ თამაშებში.

**თიკა გოგევილი** აღნიშნა, რომ ადამიანის მიერ უსუფთაო წყლის გამოყენებამ ზოგიერთი საშიში დაავადების გავრცელებას შეუწყო ხელი, რის გამოც გახშირდა ინფექციური დაავადებები. **სილვია ტროსიანი** შეეხო შავი ზღვის მძიმე მდგომარეობას, რომელშიც უამრავი დაბინძურებული წყალი და ნავთობპროდუქტები იღვრება. გაჭუჭყიანებულ წყალში კი იხოცება თევზები, წყლის ფრინველები და სხვა ცხოველები. **თათია და ნათია ჯმუხაძეებმა** მაპროფოცირებული ლექსები წაიკითხეს, **თიკო მანაგაძემ** ბალნეოლოგიური კურორტის და მინერალური წყლების ისტორიაზე და მნიშვნელობაზე ისაუბრა. **დათა და ლაშა კუპატაძეებმა** წყლის უდიდეს მნიშვნელობას მისცეს პრიორიტეტი. **ლუკა და ნიკა ცეცაძეებმა** აღნიშნეს, რომ წყალი დედამიწაზე ძვირფასია და სიცოცხლის აუცილებელი პირობაა.

დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, ჩვენი პლანეტა, ყველას ერთი საერთო სახურავი – ცა და საერთო იატაკი – დედამიწა გვაქვს. ერთი მზე გვანათებს და გვათბობს – ყველა უნდა მოუფრთხილდეთ მათ – ამ სიტყვებით მიმართა **ანა ბერიძემ** მეგობრებს. ინსცენირებაში „დაზოგეთ წყალი“ წყლის წვეთებმა: „ცისკარამ“ – **შმაგი კაუაშვილმა** და „მღერიმ“ – **დაჩი მელიქიშვილმა** ხაზი გაუსვეს წყლის ეკონომიურ მოხმარებას. მონაწილეობა მიიღეს: **დაჩი ბასილიშვილმა**, **ნიკა ლაცაბიძემ**, **გიორგი მექვაბიშვილმა** და **დათა ცომაია**.

**ლაშა გაზაშვილმა**, **გიორგი ჯარიაშვილმა** და **საბა ხახანაშვილმა** გამოიტანეს დასკვნა: ვისაც უყვარს ბუნება, აქვს ეკოლოგიური გა-

ნათლება, უფრო მეტად უფრთხილდება, უფლის და იცავს მას, როგორც მშობლიურ სახლს.

გარემოს გაჭუჭყიანება დიდ საფრთხეს უქმნის ბუნებას და სიცოცხლეს დედამიწაზე. ყველამ ერთად აღიარა, რომ თუ გვინდა დედამიწაზე სიცოცხლე, ბუნების დაცვა და მოფრთხილება უნდა ვისწავლოთ საბავშვო ბაღიდან. მათ კიდევ ერთხელ დადეს პირობა, რომ ეყვარებათ ჩვენი ქვეყანა, მისი მთა-ბარი, ცა, წყალი, მისი ხალხი და მოუფრთხილდებიან ყველაზე ძვირფას და სანუკუარ საუნჯეს – წყალს.

თქვენი გაზეთის მეშვეობით მსურს მადლობა გადავუხადო თანადგომისათვის დირექტორს, ქალბატონ ლელა კობახიძეს, ჩატარებული ღონისძიებისთვის მან არ დაიშურა ძალა და ენერჯია. აგრეთვე, მთელ კოლექტივს: **მარიკა ჭაბაშვილს**, **თამარიკო ბაბუაძეს**, **თინიკო სუპატაშვილს**, **ლალი მოსულაშვილს**, **მზია გერგუაძეს**, **მაკა ბერძენიშვილს**, **ანა ლობჟანიძეს**, **თინიკო ნოზაძეს**, **მალვინა გაჩეჩილაძეს** და **ასმათ ხარებაშვილს**. თითოეულ მათგანს დიდი წვლილი მიუძღვის 47-ე საბავშვო ბაღის მომავალი თაობის აღზრდაში.

ეკოლოგიური ღონისძიების დასასრულს ახლად შექმნილმა ანსამბლმა „დო-რე-მი“ (ხელმძღვანელი – **თეა ედიბერიძე**) არაჩვეულებრივი კონცერტით დააჯილდოვა ბაღის აღსაზრდელები. სოლისტებმა: **ელენე გოგოძემ**, **მარიკა სიჭინავამ**, **მარი ფხოველიშვილმა**, **ანა ნამიჭიშვილმა**, **ნინო** და **ანა ასლამაზოშვილებმა**, **ლიკა ბინკინაშვილმა** და **დავით გულუაშვილმა** სასიამოვნო სიმღერებით და ცეკვებით დაამახსოვრეს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი პატარებს.

**ლალი ედიბერიძე**  
47-ე საბავშვო ბაღის პედაგოგი

## ინფორმაცია

\*\*\*  
საგანმანათლებლო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. ცენტრის მისია მუზეუმში საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურება, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა და სამუზეუმო აუდიტორიის გაფართოება.

წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრში რამდენიმე პროგრამის განხორციელება დაგეგმილი. ცენტრში იფუნქციონირებს საგანმანათლებლო სალონი, ჩატარდება განათლების კვირეულები, გამოფენები და კონკურსები. აღსანიშნავია პროგრამა „ვისწავლოთ მუზეუმში“, რომელიც გულისხმობს სკოლების მიერ სხვადასხვა სახის სა-

განმანათლებლო აქტივობების განხორციელებას მუზეუმის ტერიტორიაზე.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მიესალმა მსგავს ინიციატივას და აღნიშნა, რომ მუზეუმში ვიზიტი და იქ არსებული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სწავლის პროცესში ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მინისტრი მოუწოდებს სხვა მუზეუმებსაც, დანერგონ მსგავსი მოდელი, რათა მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და პროდუქტიული გახდეს სწავლის პროცესი.

\*\*\*

ქუთაისის №1 პროფესიული სწავლების ცენტრი, რომელიც 2007 წლიდან ფუნქციონირებს, მომსახურების, მრეწველობის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის დარგებისათვის (სულ 16 პროფესიამი) სახელობო განათლების პროგრამებს ახორციელებს. ცენტრის



პროგრამები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული და წარმატებით ხორციელდება.

პროფესიული სწავლების ცენტრთან თანამშრომლობენ არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციები, არამედ ბიზნესის წარმომადგენლებიც. მათი დაკვეთით, ცენტ-

რი მოკლევადიანი გადამზადების პროგრამებსაც ახორციელებს. 2009 წლის მარტიდან ელექტრომექანიკის, ზენიტალ-ელექტრონიკისა და მქლორავ-ოპერატორის სპეციალობებზე ცენტრმა 90, ხოლო 2010 წლის იანვრიდან დღემდე, ელექტრომექანიკის სპეციალობით, 26 ახალგაზრდა მოამზადა.



ოსნების ნაპირები

გიორგი ოვაშვილის „ბაღმა ნაპირში“

№124 საჯარო სკოლაში ქართული მხატვრული ფილმის „ბაღმა ნაპირის“ განხილვა მოეწყო. რეჟისორი გიორგი ოვაშვილი და მთავარი როლის შემსრულებელი თედო ბეჭაური ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა იზო გურგენიძემ მოინვიან.



ონიანს, მარინე მამარდაშვილს, მალვინა კოპლატაძეს, ციცი ყურაშვილს ღონისძიების ორგანიზებისათვის. სწორედ მათი დამსახურებაა ჩვენი მოსწავლეები ასე ლაღად და ლოგიკურად რომ აზროვნებენ, ნათლად გადმოსცემენ სათქმელს.

იზო გურგენიძე: მოსწავლეებზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფილმმა, რომ მათი კითხვები უწყურადღებოდ ვერ დაეტოვებოდა გიორგის ტელეფონით და ვუკავშირდი და სკოლაში მოვიწვიე. ბავშვების ყურამული რომ ჩაესმა, თვითონვე დაინტერესდა მათთან შეხვედრით. მადლობას ვუხდით მას ასეთი გულისხმიერებისათვის. ჩემთვის ეს ფილმი არის იმედი, ბაღმა ნაპირზე დარჩენილ ძმებთან შეხვედრის პირსპექტივა.

მოიჩინენ თავს. ნუთუ მართლა ასეა?! ნუთუ ჩვენ ამ გზას დავადექით და დავივიწყებთ ღირსებას, ქართველობას, კაცური კაცობას, ილია, აკაკი, ვაჟა?!... გული მწყდება, მრცხვენია, რომ ასეთები წარმოვჩნდებით მსოფლიოს წინაშე.

ვიხარდეს, როგორც ჩვენი ცუდი გვეყვინება. მხოლოდ ამ შეგნებით გადავლახავთ ენგურს და ჩვენს შორის ჩატყვილი ხიდასაც აღვადგენთ.

და შეითვისოს აფხაზი დები. რაც შეეხება ქართველების უარყოფითი კუთხით ჩვენებას, ეს, ალბათ, უფრო გამოსაფხიზლებლად, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით მოხდა. ჩვენ კი გვინდა ვიყოთ საუკეთესოები, მაგრამ ვართ კია ასეთნი? ჩემი აზრით, ცუდი და კარგი ყველგანაა. ეს ფილმი მხოლოდ ქართველებზე არ უნდა იყოს, აქ ზოგადად ომის საშინელ შედეგებზეა გამახვილებული ყურადღება, ასევე ადამიანურ მანკიერებებზე.

გიორგი ოვაშვილი: მხარბებს ჩემი ფილმით ბავშვების ასეთი დაინტერესება.სიამოვნებით მივიღებ მონვევას, მოვისმინე მათი ნაზრები, აღფრთოვანებული დავრჩი თავისუფალი მსჯელობის უნარით. ასაკთან შედარებით, საკმაოდ ღრმად იაზრებენ ფილმის იდეას, ყურადღებით აკვირდებიან დეტალებს და კარგად აყალიბებენ შეკითხვებს. დიდი სიამოვნება მივიღე მათთან გასაუბრებით.

ანა მოზაიძე, X კლასი: ქართველი მანდილოსნის ასე დაკნინება მეც გულს მტკენს; მიმარჩნია, რომ ეს პერსონაჟი არ წარმოადგენს ქართველი დედის განზოგადებულ სახეს, არამედ გამონაკლისია, იშვიათი, კერძო შემთხვევაა და საქვეყნოდ არ უნდა გამოშვებულიყო.

სალომე ქურდაძე, X კლასი: არა აქვს მნიშვნელობა აფხაზი ხარ თუ ქართველი, რომელი რელიგიის წარმომადგენელი, ჩვენ ადამიანობა გვეერთიანებს. ადამიანი ადამიანის მტერი არ იყოს – ჩემთვის ეს არის ცივილიზაცია, ესაა სარწმუნოებაც და ენაც. „ისინი შენი დები არიან, უნდა გაიცნო და მოეფრო“ – ეუბნება ბებია თედოს. დიას, უნდა გაიცნოთ, შევითვისოთ და შევისისხლხორცოთ, ისინი ხომ ჩვენი დები და ძმები არიან.

ელენე შაბურიშვილი, 124-ე საჯარო სკოლის დირექტორი: დამეთანხმებით, ეს არ არის ბავშვური და გულუბრყვილო მსჯელობა. მიხარია, რომ ფილმში წამოჭრილი პრობლემები ასე განიცადეს და გაითავისეს მოზარდებმა. რეჟისორთან შეხვედრის მოლოდინმა განსაუკურთებით შთააგონა ისინი. ფილმის ჩვენების შემდეგ წამდვილი დებატები გაიმართა. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს, ბატონ გიორგისა და თედოს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს: იზო გურგენიძეს, თინა

გიორგი მიროტაძე, IX კლასის მოსწავლე: ამ ფილმში დავინახე აფხაზი კაცის იკეთე, ქართველის უკეთურება, ქართველი დედა შვილს არ უვლის, მრუშობს, ხოლო აფხაზი ქალი შეიფარებს მტრის შვილს. ქართველი მატარებლიდან ნიხლით გამოაგდებს თავის თვისს ტომს, უმწყო, უპატრონო ბიჭს (ეს ნიხლი მეც მეტყინა თედოსთან ერთად), ხოლო აფხაზი ღამეს გაათვინებს, დაინდობს. აფხაზი რუსებს შეაკედება, კაცურად ნაწა ამ ქვეყნიდან. ქართველი ახალგაზრდები კი მანდილოსანზე ძალადობით „გა-

ბექა მარიაშვილი, X კლასი: ჩვენი თვისი ძნელია იმის დაჯერება, რომ ქართველები ასე დაგვიკნინდით, თუმცა, როგორც ბატონმა გიორგიმ ბრძანა, წამდვილი დიდი ქართველი ამ ფილმში პატარა თედოა და ამით, ალბათ, ყველაფერია ნათქვამი საქართველოზე.

ია ოდიშარია, X კლასი: ომმა და დევნილობამ ყველას დაუტოვა გულში ნაიარევი. ცხოვრებამ გამოცდა მოგვიწყო, გაუგებრობის უკუნეთი ჩამოწვა ჩვენსა და აფხაზებს შორის. გავუძლებთ გამოცდას?! – არ ვიცი, მაგრამ ოცნების უფლება ხომ გვაქვს. ეგებ მართლაც გავცვივალა როლები? – აფხაზმა შეიფაროს ქართველი ბავშვი. ქართველმა ბიჭმა მოძებნოს

თინა ონიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პრეზიდენტის სტიპენდიანტი: ჩვენი ავტორის ისტორიის გრძელ მანძილზე რუსთაველის სიბრძნე და გონიერება ყველაზე მეტად დღეს გვჭირდება ქართველებს გალმა და გამოღმა ნაპირებზე გახლეჩილი სამშობლოს გასაერთიანებლად. ბატონო გიორგი, ამ საშვილიშვილო საქმეში „ერთი კენჭი თქვენც მიიტანეთ“, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. გისურვებთ წარმატებებს! თედო, დიდ ქართველად გაიზარდე. მუდამ ფხიზლად იდექი ბაღმა და გამოღმა ნაპირებზე გახლეჩილი სამშობლოს გასამთლიანებლად.

შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა, თედოს გულში იხუტებდნენ, რეჟისორს კითხვებს აყრიდნენ. ბატონ გიორგის მთელი სკოლა შემოატარეს მოსწავლეებმა, უჩვენეს ლიტერატურული სარდაფი და მთატრული სტუდია. განსაკუთრებით ფილმის ფინალი აინტერესებდათ – შეხვდა თუ არა თედო მამას? რატომ ცეკვავს ბიჭი თვალდახუჭული? ალბათ, თედო ახალ საქართველოს განასახიერებს, რომელმაც გაარღვია ჩაკეტილი წრე, გავიდა ენგურს გალმა.

ამასობაში... გალმა და გამოღმა ნაპირზე მყოფი თავიანთი სიმართლით მიუყვებიან ცხოვრების გზას და ვინ იცის, როდის შეერთდება მათი ოცნების ნაპირები.

მარინე მამარდაშვილი, 124-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე

ბაღმა ნაპირი, ანუ ბზა შინისაკენ

თვალს ვხუჭავ და ვხედავ პატარა ბიჭს გალმა ნაპირიდან... ნაადრევად დაკაცებულს, ორი ზომით დიდი პიჯაკი რომ აცვია. საქმიანი იერით მიდი-მოდის, დედას შეძლებისდაგვარად აკონტროლებს... უკიდურესი გაჭირვება, ჭუჭყი და სიდუხჭირე... და მინც, ამ დონეზეც ვერ შეინახავს ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი ოჯახს, თუ თავყანისმცემელი არ გაიჩინა. ან კი ვინ მოასვენებს? ყველას თავისი ინტერესი აქვს. არავინ ზრუნავს ბიჭის სწავლა-განათლებაზე. ყველა სიამოვნებით იღებს მისგან ფიზიკურ დახმარებას და თუ ხურდა ფული მიუგდეს, თავს წმინდანებად თვლიან – ლტოლვილი შევიფარეთო. ბიჭი ხვდება, რომ დედის სამსახური ცოდვის ბუდეა და სურს, მოაშოროს ამ გარემოს. ამიტომ იძულებულია, ბედისაგან კიდევ უფრო მეტად დაჩაგრულ „ნუპაკას“ დაუკავშირდეს და ფული იშოვოს. როცა ნაქურდალს დედას მიუტანს, საბრალე ქალი წყევლის მას, რითაც საქციელს უწუნებს.

თედოს დედა აღარ ჰყავს, მაგრამ შესაძლოა, ჰყავს მამა და ისიც აკრძალულ გზას დაადგება: გზას შინისაკენ, გალმა ნაპირისაკენ. ეშინია, მარგამ მინც წინ მიიწევს. გამოღმა ნაპირზეც არაა მისი გზა ია-ვარდით ფენილი: მატარებლის გამოცილებული უსარგებლო ნივთივით მოისვრის მას დაძრული მატარებლიდან; კრიმინალი ბიჭები, რომელთათვის გამოღმა ნაპირზე ნაქურდალი მანქანების გალმა ნაპირზე გაყიდვა სარფიან ბიზნესად ქცეულა, ჯერ მოზარდ გოგონაზე ძალადობისთვის გამოიყენებენ მის, ბავშვის ფაქტორს, შემდეგ ძირს გადმოაგდებენ. გასაოცარია თედოს ვაჟკაცობა, ხედავს გავრეშულ შეიარაღებულ ბიჭებს, მარგამ გულგრილად ვერ უყურებს მათ აღვირახსნილობას. თვალს იმიტომ კი არ ხუჭავს, სირაქლემსავეთ გაექცეს სინამდვილეს, არამედ მოქალაქეობრივ ვალს აღასრულებს.

თედოს დედა აღარ ჰყავს, მაგრამ შესაძლოა, ჰყავს მამა და ისიც აკრძალულ გზას დაადგება: გზას შინისაკენ, გალმა ნაპირისაკენ. ეშინია, მარგამ მინც წინ მიიწევს. გამოღმა ნაპირზეც არაა მისი გზა ია-ვარდით ფენილი: მატარებლის გამოცილებული უსარგებლო ნივთივით მოისვრის მას დაძრული მატარებლიდან; კრიმინალი ბიჭები, რომელთათვის გამოღმა ნაპირზე ნაქურდალი მანქანების გალმა ნაპირზე გაყიდვა სარფიან ბიზნესად ქცეულა, ჯერ მოზარდ გოგონაზე ძალადობისთვის გამოიყენებენ მის, ბავშვის ფაქტორს, შემდეგ ძირს გადმოაგდებენ. გასაოცარია თედოს ვაჟკაცობა, ხედავს გავრეშულ შეიარაღებულ ბიჭებს, მარგამ გულგრილად ვერ უყურებს მათ აღვირახსნილობას. თვალს იმიტომ კი არ ხუჭავს, სირაქლემსავეთ გაექცეს სინამდვილეს, არამედ მოქალაქეობრივ ვალს აღასრულებს.

შილიფად ჩაცმული თედო ზამთრის სუსხში აღწევს შინამდე, სადაც უდარდელი ბავშვობის ნიშანს – სათამაშო ბატს აღმოაჩენს, რომლის შეკონინებას შეეცდება, მარგამ ვინ დაუბრუნებს მას დაკარგულ ბავშვობას.

„ნუპაკა“ ნანგრევებში ცხოვრობს, მარტო „მუშაობს“, მაგრამ მოზარდი, რომელმაც საქმე შეასწავლა, სოლიდურ ნიღბი უზის. თუ თედოს გალმა ნაპირზე შესაძლოა ცოცხლად დარჩენილი მამა მინც ეიმედება, მათ სასოების მარცვალიც აღარ შერჩენიათ. „ნუპაკას“ მამა საშინლად ანამეს. ომის კომმარს გამორიდებული ბავშვი, არანაკლებ კომარულ პირობებში აგრძელებს არსებობისთვის ბრძოლას. საშინელი რეალური კადრების დროებით დავიწყებთ ნების ყნოსვით ახერხებს. აფრიკული პეიზაჟი, ცხოველთა სამყარო საოცარ ნეტარებას გვრის. თედოსაგან განსხვავებით, „ნუპაკა“ ვერც პოლიციას აღწევს თავს. თედოს თავისი ხუხულა ციხისიმაგრესავით ეიმედება. მაგრამ იქ ნანახი სცენით შეძრულს მკაცრი განაჩენი გამოაქვს: დედა აღარ ჰყავს! სახლიც ცოდვის ბუდე გამხდარა. მუდამ ხაზგასმულია იარაღიანი „სატრფო“. ამ იარაღს ქალის დამორჩილებაში უმნიშვნელო როლი წამდვილად არ მიუძღვის. სასიყვარულო სცენა სრულდება არ არის ეროტიკული, პირიქით სევდიანი და დამორგუნველი სახილველია.

გაჭირვებით გადავიდა ენგურს გალმა. რუსების საგუშაგოზე კვლავ განახლდა ომის კადრები. ისე, უბრალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს ქართველი ახალგაზრდა კაცი. აფხაზთა საგუშაგოს გავლა დიდად არ გასჭირვებია. აფხაზურ ოჯახში მოხვედრილი ბიჭი, თბილისში ნასწავლი ხერხით – ყრუმუნჯობის მოგონებით – გადაჩრჩენას ცდილობს. ომში ერთადერთი ვაჟის დამკარგავი ოჯახისთვის ძნელია ქართველი ბავშვის მასპინძლობა, თუმცა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია კვლავ ურყევია. მოულოდნელად გამომხტარი გუგული გასცემს ბიჭის საიდუმლოს, მაგრამ მასპინძლები შემწყნარებლები არიან, მივიწყებულ ქართულსაც იხსენებენ და ბავშვს ტყვარჩელისკენ გზას დაულოცავენ. ამიტომ, თედო აღარ ერიდება მძლოლთან იმის აღიარებას, რომ იგი ქართველია... და კვლავაც მიგდებული აღმოჩნდება. ენაწყლიანი აფხაზი მძლოლი თედოს მის კბილა ბიჭზე უყვება, რომელიც როცა უფროსები ომობდნენ ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის დარბოდა და ერთმანეთის ძღვენით უმასპინძლებოდა. დიდებისთვის გადაუღახავი ზღვარი ბავშვისთვის ბარიერს სულაც არ წარმოადგენდა.

თედოს დედა აღარ ჰყავს, მაგრამ შესაძლოა, ჰყავს მამა და ისიც აკრძალულ გზას დაადგება: გზას შინისაკენ, გალმა ნაპირისაკენ. ეშინია, მარგამ მინც წინ მიიწევს. გამოღმა ნაპირზეც არაა მისი გზა ია-ვარდით ფენილი: მატარებლის გამოცილებული უსარგებლო ნივთივით მოისვრის მას დაძრული მატარებლიდან; კრიმინალი ბიჭები, რომელთათვის გამოღმა ნაპირზე ნაქურდალი მანქანების გალმა ნაპირზე გაყიდვა სარფიან ბიზნესად ქცეულა, ჯერ მოზარდ გოგონაზე ძალადობისთვის გამოიყენებენ მის, ბავშვის ფაქტორს, შემდეგ ძირს გადმოაგდებენ. გასაოცარია თედოს ვაჟკაცობა, ხედავს გავრეშულ შეიარაღებულ ბიჭებს, მარგამ გულგრილად ვერ უყურებს მათ აღვირახსნილობას. თვალს იმიტომ კი არ ხუჭავს, სირაქლემსავეთ გაექცეს სინამდვილეს, არამედ მოქალაქეობრივ ვალს აღასრულებს.

თედო შეიძლება ყოველივე ამას ფართოდ გახელილი თვალებით უყურო და არ გაგვიდვ? სულაც არაა საჭირო წების ყნოსვა, შენ მხოლოდ თვალები დახუჭე და საოცარ სიმშვიდეს იგრძნობ: ზებრები, სპილოები, ჟირაფები... აფრიკული მირაჟიდან გამორკვევა არ მოგინდება. ცხოველთა სამყარო გაცილებით უსაფრთხოდ მოგეჩვენება, ვიდრე ადამიანთა ჯუნგლები. დედა დაკარგა, მამაც ვერ იპოვა, ხილის გავლა შეძლო, ჩატყვილი ნიღბი გამოთვლებაც შეიძლება, ოღონდ გვინდოდეს, გვჯეროდეს და თედოსდარი შემართება გვექონდეს. „ცუდად ხომ მამინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება?“ ელაში ბიჭი გაცილებით სალად ხედავს, ვიდრე საზოგადოება. როგორც დავით მეფესალმუნე ამბობს, „თვალნი ასხენ და ვერ ხედევენ“.

ქართველთა და აფხაზთა ჯვრაც შერჩენილი პატივისცემა, სისხლით ნათესაობა თემიდას სასწორზე დევს, მეორე პინა საესეა ღვარძლით, მესამე ძალის მსახვრალი ხელის ფათურით, მაგრამ „სამართალი პურს აუცილებლად შექამს“ და ღვთის წყალობით ივერია გაბრწყინდება და გამთლიანდება.

თინიკო ხაჩიძე №124 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე

# მეგობრობა ბრძელდება



ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლასა და ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროს ამერიკულ სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობა 2007 წლის გაზაფხულზე დაიწყო. ქართველი მოსწავლეები ათი დღით ეწვივნენ გავაზს. მათი ვიზიტი მხოლოდ გაცნობითი ხასიათის არ ყოფილა, ქართველი მოსწავლეების ფინანსური და უმუშაო ფიზიკური მონაწილეობით კეთილმოწყობილ იქნა გავაზის ცენტრში არსებული ეკლესიის ეზო. ამავე წლის შემოდგომაზე გავაზელებიც ეწვივნენ ქაიროს.

2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, ქართველებმა გარკვეული დროით თავი შეიკავეს საქართველოში ჩამოსვლაზე. სასიხარულოა, რომ კვლავ განახლდა ურთიერთობა და 26 თებერვალს ჩამოვიდა მოსწავლეთა ახალი თაობა. მათი ვიზიტი კვლავ ქველმოქმედებით ხასიათს ატარებდა. ამჯერად სოფელ გავაზის ცენტრში არსებულ ყოფილ კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში გარემონტებულ იქნა რაიონის მიერ გამოყოფილი ოთახები და მათში გადმოტანილ იქნა სოფლის ბიბლიოთეკა, რომელიც მანამდე სოფლის ცენტრიდან მოშორებით შეუფერებელ შენობაში იყო და პრაქტიკულად ვერ ფუნქციონირებდა. მოსწავლეებთან ერთად არიან

მათი პედაგოგები ქეთი პერკინსი და ტატიანა დე ვოლფი, გავაზელთა ამერიკელი მეგობარი, ამ ურთიერთობის სულის ჩამდგმელი ამერიკელი პედაგოგი მარკ პერკინსი.

აღსანიშნავია, რომ ქაიროს სკოლის მოსწავლეები ქაიროში მომუშავე სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეთა შვილები არიან. ჰუსეინი, ჰაბიბა, თაია და სემი ეგვიპტელები არიან, ჯენა, ქეთი, ჰალი და პოლი აშშ-დან, მარკო და ლუკა – იტალიიდან, არზუ და ააქრითი – ინდოეთიდან, ხოლო ჯი ჰო და სონგ ჯი – სამხრეთ კორეიდან. ასე რომ, გავაზელ ბავშვებს შესანიშნავი პირობები შეექმნათ უცხო ქვეყნების და მათი მოქალაქეების გაცნობისა და დამეგობრებისთვის. გავაზში ყოფნის დროს სტუმრები თანატოლთა ოჯახებში ცხოვრობდნენ. ისინი გაეცნენ არა მარტო კახეთს, არამედ თბილისსა და მის ლირსესანიშნავ ქვეყლებს.

დამშვიდობებას ემოციების გარეშე არ ჩაუვლია. ახლად გაცნობილი მეგობრები თვალცრემლიანები დაემშვიდობნენ ერთმანეთს. საბასუხო ვიზიტს გავაზელები ამა წლის შემოდგომის ბოლოს გეგმავენ.

**მასპა კენელაშვილი**  
გავაზის საჯარო სკოლის  
X კლასის მოსწავლე

მეცნიერები X, XI და XII კლასების მოსწავლეებს სამეცნიერო-პოპულარულ სალექციო კურსს წაუკითხავენ და პრაქტიკულ გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

სალექციო კურსის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, სამეცნიერო მიღწევებისა და სიახლეების გაცნობა, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდება პოპულარული ენითა და მათი დაინტერესება მეცნიერებით.

**ლექციები მოიცავს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:**

- ქიმია;
- ფიზიკა;
- ბიოლოგია და მედიცინა;
- კოსმოლოგია და ასტრონომია;
- გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- მათემატიკა;
- საინჟინრო მეცნიერებები.

სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის 1 აპრილიდან დაიწყება და საქართველოს შემდეგ ქალაქებში განხორციელდება: თბილისი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, თელავი, ოზურგეთი, ფოთი, მცხეთა, ონი, მესტია, სენაკი, ხელვაჩაური, ბორჯომი, ახალქალაქი. 2009 წელს პროგრამაში 15000-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო. დაწვრილებით ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს ან იხილეთ ვებგვერდი: [www.gnsf.ge](http://www.gnsf.ge)



## მოსწავლე შემოქმედი



**ეკატერინე შაძარაშვილი**  
დემირელის სახელობის  
კერძო კოლეჯის XII კლასის მოსწავლე

\*\*\*

სანაპიროზე ბრწყინვალე ნათურები მიჰკრობიან კლდეებს. თმების წამგლეჯი სიჩქარით მივდივარ. არა, მივრბივარ და მომწონს, როგორ ციმციმებენ პატარა სინათლეები ჩემი თვალების კუთხეებში. ხვალ უკვე გაზაფხულია და მარტის მოსვლამ ყველას ერთბაშად გაგვახსენა ღრუბლებს უკან მიმალული მზე...

ცივ ფანჯრის მინაზე მიწებებულ შუბლზე უცნაურ ფეხებს ვგრძნობ და განვაგრძობ ოცნებას იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა, ცხენი მყოლოდა.

ცხენი მაღალი, წვრილფეხება და მწუნ-რისფერი ცხენი.

რა კარგი იქნებოდა, ტანზე ქარი მცმოდა. კაბა – მსუბუქი, უცოდველი სულებივით და ქვეყნის დასალიერივით გრძელი.

რა საოცარი იქნებოდა, ენა მქონოდა.

ენა ხმამაღალი, დალოცვილი და მტერთათვის მახვილივით მჭრელი.

რა აღმაფრენას განვიცდიდი, გმირი მრქმეოდა.

სამშობლოსათვის თავგანწირული და ჩვენი ჯვრისათვის მკვდარი გმირი.

შუბლი გამეყინა. სწრაფად მოვაშორე ფანჯრის მინას და ცხელი ხელისგული ავიკარი სახეზე. ოთახისაკენ მოვბრუნდი. ბნელა... ნითელ ხავერდის ფარდებში მხოლოდ სისველის ცივი გემო ატანს.

ისევ ბნელა... შიგნითაც და გარეთაც...

იქვე სანური მაგიდა გავარჩიე. მემამა. მივუახლოვდი. ხელის ფათურით კალამი ვიპოვე, ქაღალდის თხელი ფურცლებიც ამოვაძრე საქალაღიდან და წერას შევუდექი.

- რა გვეშელება?
- გვეშელება?
- გვიშეელიან?

იქნებ დროა, ახალი კითხვა დავსვათ? იქნებ დროა, დაფიქრდეთ – რა ვუშელოთ, რით დავეხმაროთ ჩვენს დაბეჩავებულ საქართველოს.

ჰე, ღმერთო ერთო, შემოქმედო ცაათა და ქვეყანათა, დაიფარე სამშობლო ჩემი, უმფარველე ცრემლიან კალთებს მათათა და ბართა.

- ლოცვით?

- დაიხ ლოცვით და საქმითაც. იქნებ დროა, დაფიქრდეთ, რით ვემსახუროთ ჩვენს დაბეჩავებულ საქართველოს.

ჰე, ღმერთო ერთო, მამაო ყოველთა მშვენიერ ქვეყანათა, შეიყვარე და შეგვაყვარე სამშობლო ჩვენი, სისხლიანი ნაოჭები ქართველთა ხალხთა.

- სათნოებით, სიკეთით, სიყვარულით?
- ღვთის სახელით აუცილებლად. ერთსულოვნებით, სიმართლით, სიმტკიცით, ისეთი სიმამაცით, როგორც უხორცოთ ძალუძთ.

ჰე, ღმერთო ერთო, სასოებავ და სიყვარულო

ყველა მართალთა, შეგვენიე და შეგვიმსუბუქე სიმძიმე, მტკიცე ზურგებზე დალურსმულ ჯვართა.

გვიმფარველე უფალო. შეგვენიე და შეგვაყვარე უსაზღვროდ, ჭეშმარიტი სიყვარულით შეგვაყვარე ჩვენი დაბეჩავებული საქართველო. ქართველთა სახეებზე ნაოჭებს შორის არეკლილი ყველა ტკივილი და სიხარული. შეგვაყვარე, რადგან მხოლოდ განუზომელ სიყვარულს ძალუძს ჩვენი გამთლიანება, აი ისეთს, მხოლოდ უხორცოთ რომ შეუძლიათ.

\*\*\*

- რა გაგვანინა?! არაფერი! - თვითონვე უპასუხა შეკითხვას.

- თქვენ ცდებით, ბატონო, ისტორია გვაქვს. დიახაც, ისტორია! - და თავი ამაყად წამოსწია ჩამომდნარმა მამაკაცმა.

- ააჰ, ისტორია. ისტორია ჩვენს წინაპრებს აქვთ მხოლოდ. ჩვენ რა გაგვანინა? განა ვავსებთ მაგ ისტორიას ისეთი ფურცლებით, ჩვენი შვილები სიამაყით რომ წაიკითხავენ? რას ვაკეთებთ, მითხარით, ძალიან გთხოვთ. ისიც მითხარით, რას ჩავდივართ, რატომ ჩავდივართ? რა დაგვიშავა ამ მინა-წყალმა, რომ ფეხქვეშ გავთელეთ? რა გვანყენინა?

- არაფერი... - დუმს და ხელებს იჭმუჭნის გაოცვილი მამაკაცი.

- მართალს ბრძანებთ. ახლა კი ნამდვილად მართალს ბრძანებთ. მას ჩვენთვის არაფერი დაუშავებია. მხოლოდ ჩვენ დაუშავეთ. ვანამეთ და ვტანჯეთ ჩვენი საქართველო. იცით, რას დაგვიკვირდით? ნაყოფიერ მინაში ღვთისმადლიან მცენარეს რომ დარგავ,

სწრაფად გაიხარებს, დაიტოტება, დაიფოთლებს. ნაწილი მისი ხელებისა ზევით ალექსრობიან, ნაწილი კი მიწას მიეკრობა, დაბლა დარჩება. და აბა, თუ წარმოიდგენთ, რა დემართებათ ქვევით დარჩენილთ?

- რა? - ვითომ გულწრფელი დაინტერესებით იკითხა დაძმობილმა მამაკაცმა.

- დალუბება. უმოქმედობისაგან, მზის სხივებისაგან მოცილებული, ვერ გაუძლებს და დალუბება. თქვენი აზრით, ღვთისაგან მოცილებულ ერს იგივე ან უფრო უარესი არ დემართება? მიპასუხეთ.

- ...

- ...

- სწორედაც რომ დემართება. ბევრად უარესიც დემართება. მაშ, რა გიკვირთ?

- არ გიკვირს. ჩვენს დათესილს ვიმკით. ეს ვიცით და ამას შევეგუეთ კიდევ.

- კი, მაგრამ რად შევეგუეთ, საქმის გამოსწორება რად არ სცადეთ? რად ჩამოგიშვიათ ცხვირები და გულზე რად შემოგიწყვიათ ეგ წინაპრების შრომისაგან დაკოჟრილი თითები? დღეს კიდევ ერთხელ მოგვეცა მშობელი, რათა ახლიდან ვიშვით და ახლიდან ავიდგათ ფეხი. ახლა უკვე ჩვენზეა, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, რომ პირველები წამოვდგეთ და შემდეგ ჩვენს ახლობლებსაც მივხმაროთ წამოდგომაში.

თვით უცოდველი გოლგოთაზე სამჯერ დაეცა. რად გიკვირთ, რომ ჩვენ უფრო მეტს ვხოხავთ, ვიდრე დავდივართ? ჩვენი მხრები უფრო სუსტია, ხოლო სული უფრო შებღალული. ჩვენთვის ყველაზე მსუბუქი ჯვარიც კი, ის ჯვარიც კი, რომელიც გულზე გვიკიდია, ძალზე მძიმეა, მაგრამ ღვთის მადლით, ისიც შემსუბუქდება, თუ ვითხოვთ.

- მაშ, შევთხოვოთ. - თქვა დაბეჩავებულმა საქართველომ.

# „უსირსხვილოს თუ არ არსხვენ...“

დღევანდელ საქართველოში არსებული წიგნების გამოცემის ბუმი სრულიადაც არ ნიშნავს კერძოდ მეცნიერების თვისებრივ ზრდას, მათი უმეტესობა დაწერილია ზერეალურად, დღევანდელი მხარისა და წინააღმდეგობის დღევანდელ მხარეს. ამ ნაკლოვანებას ემატება სამეცნიერო ეთიკის დიდი დეფიციტიც. მსგავსი მაგალითები იმდენია, რომ უაზრობას წარმოადგენს მათზე სათანადო რეაგირება. მაგრამ არის ზღვარი, რომელზედაც გაჩუმება შეუძლებელია. ამიტომაც საჭიროა, აილაგოთ მის მავან „ავტორთან“ უკეთესობაში, რადგან ისინი, მომავალში მაინც, მოერიდონ მსგავს ქმედებებს და იქნებ სხვებმაც შეიკავონ თავი. ასე რომ, ჩვენი დიდი, ბრძენი წინაპრის – დავით გურამიშვილის სათანადო შეგონება ფრიად აქტუალური გახლავთ.

შევჩერდებით გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ გასულ წელს დაბეჭდილ ლევან იზორიას მცირე მოცულობის წიგნაკზე „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (ახალი ვერსია)“. თუ ავტორს დაუფურცლებთ, ამ წიგნაკის სახით დიდ მეცნიერულ სიახლესთან გვექონია საქმე. იგი ჩამოთვლის ხუთ ვერსიას დიდ ქართველის მკვლელობის მოტივების ასახსნელად. როგორც თავიდანვე, წიგნაკის ანოტაციაში ვკითხულობთ, „ავტორი არ ეთანხმება ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ ვერსიას და მკითხველს ილიას მოკვლის სრულიად ახალ ვერსიას სთავაზობს“.

საერთოდ, ლ. იზორიას მიხედვით, „ამ საკითხის შესახებ ბევრი რამ დაწერილია, რაც ქმნის იმის ილუზიას, რომ ეს საკითხი გარკვეულია, თუმცა ეს მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი. ქართველი ერთი კი დღემდე ელოდება აღნიშნულ კითხვებზე სწორი პასუხების მიღებას“ (გვ. 5). ავტორმა მიუხედავად ამისა, მაინც იწინააღმდეგება „მონყალბა გაილო“, მიმოიხილა საკითხზე დღემდე არსებული ლიტერატურა, თუმცა გამორჩევა ვახტანგ გურგენიძის ნაშრომი, გამოცემული 1990 წელს, „ჯვარს ვაცვით ილია“, რომელმაც, თავის დროზე, თვალსაჩინო სტიმული მისცა პრობლემის ახლებურ, არაოფიციალურ, საბჭოურ გააზრებას. რასაკვირველია, ვიმეორებ, ავტორის მიხედვით, მათ, ცალკე და ერთად აღებული, რაიმე სერიოზული ფასეულობა არ ჰქონიათ. თურმე გამონაკლისს წარმოადგენს ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის „სამეცნიერო ტანდემი“, განსაკუთრებით პირველის ნაშრომები. საინტერესო იქნებოდა ლ. იზორიას ეჩვენებინა ილიას მკვლელობის რომელ ვერსიას იზიარებენ ეს ისტორიკოსები. მით უფრო „საინტერესო“ იქნებოდა სარეცენზიო წიგნაკში გადმოცემული ყოფილიყო ვახტანგ გურულის მიერ უშუალოდ ილიას მკვლელობის შეთხზული ვერსია.

აღნიშნული ფრიად დამინტრიგებელი შესავლის კვალობაზე, მკითხველებს, ცხადია, გაუჩნდებათ ცხოველი სურვილი, თუ რაში მდგომარეობს ლ. იზორიასეული სენსაციური სიახლე. 77-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხით დაინტერესებული (!) მკვლევართა დიდი უმრავლესობა გამოირიცხავს ამ

საქმეში „ოხრანკა-ჟანდარმერიის“ მონაწილეობას და ადასტურებენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატთა დანაშაულს ილიას მკვლელობის საქმეში, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს.

დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ერთობლივად მოახდინეს „ოხრანკა-ჟანდარმერიამ“ და სოციალ-დემოკრატებმა“.

მსგავსი „აღმოჩენით“ ავტორი დიდად კმაყოფილი დარჩენილა: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე სამეცნიერო კვლევა-ძიება (ცხადია, მის მიერ განუხორციელები) მეტად საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა“ (გვ. 94).

მაგრამ ავტორის აღნიშნული „სენსაციური“ მიგნება ხომ დედა-აზრი გახლავთ ჩვენი მონოგრაფიისა „წინამურის ტრაგედიის საიდუმლო“, რომელიც ექვსი წლის წინათ დაისტამბა. მის შესახებ სარეცენზიო წიგნაკში ვკითხულობთ: „საბოლოოდ ამ ნაშრომის შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომი არის ყველაზე უფრო სუსტი ნაშრომი, რომელიც კი დღემდე არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით“ (გვ. 31). მაშ როგორ აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთ სუსტ ნაშრომში, ქართულ მეცნიერებაში პირველად, ბეჭდური სახით აისახა ლ. იზორიას „სენსაციური აღმოჩენა“? შეგახსენებთ, რომ იგივენაირი აზრია გატარებული პროფესორ გივი ჟორდანიას წიგნში „მარტვილობა მესიისა“, რომელიც 2005 წელს გამოქვეყნდა.

რა თქმა უნდა, ავტორმა იცის აღნიშნული გარემოება, მაგრამ მას აჩუმათებს. მიზეზი, ჩვენი მტკიცე შეხედულებით, მდგომარეობს არა ინტელექტის მიერ გაუგებლობაში, არამედ წინეობრიობის დიდ დეფიციტში, ანუ უფრო პირდაპირ რომ ვთქვათ, უზნეობაში. ისე, ავტორი გვიმხვლს თავისი აღმოჩენის საფუძვლის საიდუმლოებას: „იმისათვის რათა ჩვენ მივიღოთ სწორი პასუხი კითხვაზე ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძე? საჭიროა მისი მკვლელობის ვერსიების სწორად განხილვა და გამოირიცხვის მეთოდით უნდა იქნას მიღებული მართებული პასუხი“ (გვ.76). ლ. იზორია უფრო კონკრეტული, საფუძვლიანი 96-ე გვერდზე: „ამ დასკვნის გამოტანაში ჩვენ ძირითადად (!) დაგვეხმარა ეს მასალები: დავით (დათა) ვაჩნაძის წიგნი „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი“, მიუნხენი, 1957, გვ. 29-30 და ალ. სიგუასა და პაატა გუგუშვილის წიგნებში მოყვანილი დუშეთის მაზრის უფროსის ყარამან ფალავას მოგონებები“. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ სამმა წიგნმა თავის დროზე ასეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენეული ძირითადი დასკვნის გამოტანისას. იგივე ითქმის ბატონ გივი ჟორდანიას მიმართაც.

არ დაუკარგავთ „დამსახურებას“ და ვიტყვი, რომ ავტორი შეეცადა აეხსნა „ოხრანკა-ჟანდარმერიისა“ (გნებაზე რუსეთის ცარისტული ხელისუფლება ვახსენოთ) და ქართველი სოციალ-დემოკრატების ალიანსის საფუძველი: „მკვლელობის მოტივი მათთვის საერთო იყო და საერთო ინტერესები ამოძრავებდათ. „ოხრანკა-

ჟანდარმერიისათვის“ და სოციალ-დემოკრატებისათვის ილია ჭავჭავაძე საერთოებს წარმოადგენდა მისი პოლიტიკური მიზნებით. ეს პოლიტიკური მიზნები იყო:

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში იბრძოდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოსაპოვებლად.

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის“ (გვ. 77). მაგრამ ასეთი ახსნაც ხომ ოდენ გაკვრით კი არა, არამედ ვრცლად, საფუძვლიანად მოცემულია ჩემსა და პროფესორ გივი ჟორდანიას მონოგრაფიებში?

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ განა აქვს აზრი კვლავაც ილაპარაკო ლ. იზორიას სამარცხვინო წიგნაკზე? მაგრამ მკითხველთა ყურადღებას მასზე კიდევ შევაჩერებთ.

ჩემი უფრო „წინამურის ტრაგედიის საიდუმლოს“ შესახებ ლ. იზორია აღნიშნავს: „ამ ნაშრომს დასაწყის-შევეტყობა, რომ ავტორმა კვლევა-ძიებისათვის და შემართების დასადგენად მცდარი კვლევის მეთოდი აირჩია“ (გვ. 30). სხვათა შორის, ამის თაობაზე ჩემ მიმართ საყვედური სხვა დროსაც გამოუთქვამთ (იხ. გიორგი აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2005, გვ. 266-67). მე ვნერვად და ამჯერადაც ვავიშორებ, რომ კვლევა-ძიებისას ოდენ საისტორიო წყაროების თავმოყრა და მათგან გამომდინარე უტყუარი ფაქტების დადგენა არ გახლავთ საკმარისი: მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ისტორიკოსის ინტელექტი, ინტუიცია, მისეული მიდგომები (მეთოდოლოგია) და ა.შ., რაც სრულიადაც არ ნიშნავს საისტორიო წყაროებისა და ფაქტების იგნორირებას, ისტორიკოსის მხრივ ნებისმიერობას. საბჭოთა პერიოდის მანძილზე და, ჩანს, დღესაც, ეს გარემოება ხშირად იგნორირებული რჩებოდა და რჩება.

ლ. იზორიას წიგნაკიდან ვერ ვგებულობთ, თუ კონკრეტულად რაში გამოვლინდა ქართველი სოციალ-დემოკრატების სამარცხვინო როლი ილიას მკვლელობაში. რა ფაქტებს მოიხმობს იგი? რასაკვირველია, მხოლოდ ლიტონი განცხადება დიდი არაფრის მთქმელია. დაუფურცლებთ, რომ დიმიტრი ჯაში იყო „ოხრანკა-ჟანდარმერიის“ ავტორი, მაგრამ ვარდა ამისა მას არ ჰქონდა კავშირი ქართველ ესდეკებთან ანდა როგორ გავიგოთ ავტორისეული განცხადება: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატთა ვიწრო წრემ“ (გვ. 82). მაინც კონკრეტულად, მიახლოებით მაინც, ვინ შეადგენდა ამ წრეს – ქართველი ესდეკების ორივე ფრთის თუ ოდენ ბოლშევიკების წარმომადგენლები? თუ მხოლოდ უკანასკნელებმა მიიღეს ეს საზიზღარი, სამარცხვინო გადაწყვეტილება, პროვინციულად ვინ იყვნენ ესენი? სარეცენზიო წიგნაკის მიხედვით ვერ შეიტყობთ თუნდაც იმას თუ რა როლი მიუძღოდა ამ საქმეში ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს. მით უფრო მის მიერ აბსოლუტურად გამოირიცხულია იოსებ ჯუგაშვილის მონაწილეობა, მაშ რომელი ბოლშევიკები იყვნენ ეს არამზადები? ანდა პოლიტიკური მიმართულებით ვინ იყვნენ გიგლა ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, ლავრენტი ასათიანი, იგივე დიმიტრი ჯაში?

რაკი სიტყვამ მოიტანა, ჩემს წიგნში მოტანილი სხვა არგუმენტების გარდა მოგახსენებთ ერთ-საც (სამწუხაროდ, წიგნის გამოსვლის შემდეგ რომ მივაკვლიეთ). შალვა ბერიშვილი – ცნობილი ნოე რამიშვილის დისშვილი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკებისა) ერთ-ერთი აქტიური წევრი (მოღვაწეობა სდპ-ს საზღვარგარეთის ბიუროში) იგონებდა:

„1938 წლის ზამთარში, როდესაც სერგო ორჯონიკიძის სიკვდილი გამოცხადდა (მთხრობელს შეეშალა: უნდა იყოს 1937 წელი, სახელდობრ თებერვალი, გ.ყ.), ქართველი და რუსი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ამხანაგური შეხვედრის დროს (ასეთი შეხვედრები საკმაოდ ხშირად იმართებოდა), რუსმა მემკვიდრებმა გვეკითხეს, თუ რა აზრის ვართ სერგო ორჯონიკიძის პიროვნების შესახებ. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველწინააღმდეგარა და ვესკენლეთ და შევაჩვენეთ სერგო ორჯონიკიძე. მაშინ ერთ-ერთმა რუსმა ამხანაგმა გვითხრა: მაშინ ორჯონიკიძის ცოდვებს კიდევ ერთი ცოდვა დაუმატეთ და გვიამბო, რომ იგი პარიზთან ახლოს 1911 თუ 1912 წელს (1911 წელს, გ.ყ.) ლონჯონში ლენინის მიერ მოწყობილ პარტიულ კურსებზე ორჯონიკიძესთან ერთად ისმენდა ლენინის ლექციებს. ერთ-ერთი ლექციის დამთავრების შემდეგ ლენინი გასულა სამუშაო ოთახიდან. ჩვენთან დარჩაო მისი მეუღლე ნადეჟდა კრუტსკაია (კრუტსკაია ცხვირით ეწინააღმდეგებოდა თურმე ლექციებს). გამართულა საუბარი, რომლის დროსაც ზოგიერთ ამხანაგს მოუგონებია თავისი რევოლუციური დამსახურებანი რუსეთში. სერგო ორჯონიკიძეს უამბინია, რომ იგი რევოლუციის ტერორისტი იყო და ისიც უხსენებია, რომ 1907 წელს პარტიის დავალებით იძულებული იყო, გარეუღლიყო ერთი ცნობილი მწერლის მიმართ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში. ამასთან, დაუსახელებია, რომ ეს მწერალი იყო რეაქციონერი და სახელმწიფო საბჭოს წევრი“. ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. შალვა ბერიშვილი განაგრძობდა: „მე მაშინ, სამწუხაროდ, არ დამიდგენია იმ პირის ვინაობა, მაგრამ ცნობილი იყო, რომ იგი ყოფილი ბოლშევიკი გახლდათ, რომელიც შემდეგ მენშევიკებს მიემხრო“ (იხ. გაზეთი „ურთობა“, 1991 წელი, №4). რა ვიფიქროთ, კვლავ ვიმეორებ, „არ მჯერა, არა, არაო“ და ამჯერად შალვა ბერიშვილზეც ვიქირქილოთ, როგორც ეს მავან ურწმუნო თომას სჩვევია? ჭეშმარიტად, თუ სათანადო განწყობა გაქვს, შეგიძლია, რიყეზე ქვა ვერ შეამჩნიო.

აქედან სხვა დასკვნებისაკენაც მივდივართ, რაზედაც ლ. იზორიასთან ავტორთან კამათი არ ღირს. დიმიტრის მომგვრელია ასეთი რამის განცხადება: „პირველი დოკუმენტი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, გახლავთ შემდეგი დოკუმენტი 1907 წლის 1 სექტემბერი. თბილისის გუბერნატორის დეპუტა სახელმწიფო კანცელარიას“ (გვ. 8).

თითქოს, მით უმეტეს ილიას მკვლელობის თემაზე მომუშავე პირთაგან, ვინმე ამ დოკუმენტს არ იცნობდეს და მასზე ყურადღება არ მიეპყროს?!

ავტორი წერს: „დღემდე საზოგადოებაში გავრცელებულია შემდეგი აზრი: რომ ილია ჭავჭავაძეს ტყვია შუბლში დაახალეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება“ (გვ. 11). მაგრამ მეცნიერთა, მით უფრო ისტორიკოსთა მისამართით მსგავსი რამის თქმა ხომ ღია კარის შემტვერევის ჰგავს?

37-ე გვერდზე აღნიშნულია: „XIX საუკუნის დამდეგიდანვე საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ ეროვნული მოძრაობა დაიწყო“. 43-ე გვერდზე (იხ. აგრეთვე 44-ე გვერდი) ვკითხულობთ: „XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ეროვნული მოძრაობა დაიწყო“. ხომ ამპკარაა, რომ ამ შემთხვევებში ლოგიკა დიდად მოიკოჭლებს. ალოგიკურობა ჩანს ამ პასაჟებში: „ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი ილია ჭავჭავაძე და მისმა თანამოაზრეებმა იპოვეს. ეს გამოსავალი იყო ტფილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების დაარსება“ (გვ. 42); „ბანკის დაარსების იდეა კი დიმიტრი ყიფნაძე წამოაყენა“ (იქვე).

დიმიტრი ყიფნაინისადმი ჩვენი დიდი მონივნების მიუხედავად, შეუძლებელია მისი გამოცხადება „სამოციანელად“, „თერგალელად“ და „პირველი დასის წარმომადგენლად“ (გვ.36). ძალზე შეურაცხყოფელი, არაადეკვატურია ასეთი განცხადება: „ანდა სად ჰყავდათ სოციალ-დემოკრატებს პატიოსნების განსახიერება (!) წევრები“ (გვ.17). საბედნიეროდ, ესდეკების ზომიერი (გნებაზე სიტყვა „მემარჯვენე“ ვიხმაროთ) ფრთიდან მსგავს პიროვნებათა დასახელება საკმაო რაოდენობით შეიძლებოდა. შემთხვევითი როდია, რომ ამ წრეში რამდენიმე საზოგადოებრივი კომისია შეიქმნა ილიას მკვლელობის საქმის გამო-საძიებლად, რასაც ვერ ვიტყვით ბოლშევიკების მიმართ.

გაუგებარია პაატა გუგუშვილის მისამართით ნათქვამი: „თავის ნაშრომში წამოაყენა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის „ოხრანკისეული ვერსია“ (გვ.17). ცხადია, დიდი უზუსტობაა საქართველოს პოლიტიკური დამლის თარიღად მთელი XV-XVIII საუკუნეების გამოცხადება (გვ.37). გაუგებარია გიორგი წერეთლის იდეის ოდიოზური ტერმინით „ნაციონალ-სოციალიზმად“ მოხსენიება (ვახტანგ გურულისა და მერაბ ვაჩნაძის დარად). დიდად უხერხულია მონოგრაფიების სიაში მითითებულ იქნეს დარია ჯაშის „მოგონებები და დოკუმენტები (ხელნაწერი)“ და გიორგი ლასხიშვილის „მემუარები“.

დაბოლოს თავს აგარიდებ ლ. იზორიას სარეცენზიო წიგნაკის დასკვნით შეფასებას, იგი მკითხველთათვის ცხადზე უცხადესი იქნება. მხოლოდ გამოვთქვამ საყვედურს რეცენზენტის – პროფ. დიმიტრი შევლიძის მიმართ, რომელიც პატიოსან და საკმაოდ წიგნიერ კაცად მიმაჩნია. ასეთი ნაშრომის რეცენზირებისას იგი უთუოდ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო.

# ბავშვის განვითარება



**რუბრიკას უძღვება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე**

## შესავალი

ბავშვის განვითარება საოცარი პროცესია. უცებ იჩენს თავს ახალი თვისება ან უნარი, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდით. გასაკვირია, თუ როგორ ახერხებს ბავშვი თვითონ, სპეციალური დასწავლის გარეშე ამ მრავალმხრივი ცოდნის შექმნას. ფაქტობრივად ბავშვი სწავლას უნებლიედ, გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების შედეგად, სიცოცხლის პირველივე თვეებიდან იწყებს. თავიდან ამ სწავლის საფუძველს მოძრაობები და შეგრძნებები წარმოადგენს. შემდეგ ბავშვი სიტყვის გამოყენებას იწყებს და საგნებსა და მოვლენებს სახელებს არქმევს. ამის შედეგად წამყვანი ხდება სიტყვა და ბავშვიც სიამოვნებით ატარებს ექსპერიმენტებს – ახალ სიტყვებს იგონებს, ამბის მოყოლას ცდილობს და მრავალ შეკითხვას სვამს. ამის პარალელურად ბავშვის მოტივური უნარებიც იცვლება – მისი მოძრაობები უფრო დახვეწილი და მოქნილი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური განვითარების პროცესს საერთო კანონზომიერება აქვს, თითოეული ბავშვი მაინც უნიკალურია და განვითარების ინდივიდუალური ტემპი ახასიათებს. ზოგიერთი ბავშვის განვითარება საერთო კანონზომიერებას არ ემორჩილება, რაც ხშირად ბავშვსაც და მის ოჯახსაც პრობლემებს უქმნის.

ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას უნდა ველოდოთ ბავშვისაგან ამა თუ იმ ასაკში; როგორ შევუწყნოთ ხელი მის განვითარებას და შევუქმნათ ამისათვის ხელსაყრელი გარემო; როგორ მივხედოთ, რომ ბავშვი განვითარებაში ჩამორჩება, რათა დროული რეაგირება მოვახდინოთ.

## განვითარების ცნება. ზოგადი საკითხები

**განვითარების სტადიურობა და მთლიანობა**  
ტერმინი „განვითარება“ ადამიანის სხეულისა და ქცევის იმ ცვლილებებს ეხება, რომელიც დროთა განმავლობაში ხორციელდება როგორც ორგანიზმის ბიოლოგიური მონაცემების, ისე გარემოსთან მისი ურთიერთობის წყალობით.

დღეს დომინირებს აზრი, რომ განვითარება მთლიანი, უწყვეტი პროცესია, რომლის სტადიებად დაყოფა ხელსაყრელია. თუმცა ზოგიერთი თეორეტიკოსი აქცენტს განვითარების სტადიების რეალურ არსებობაზე აკეთებს. ჩვეულებრივ, ჭეშმარიტება უკიდურეს შეხედულებათა შორისაა. არ არსებობს საკმარისი მონაცემები იმისა, რომ ადამიანები ერთი სტადიიდან მეორეზე სწრაფ, მკვეთრ გადასვლებს აკეთებენ. ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა თანდათანობით, შემქმნელად, უწყვეტად ხდება და ერთმანეთს შორის მერყეობით ხასიათდება.

მიუხედავად ამისა, შესწავლისა და განხილვის თვალსაზრისით, ბავშვის განვითარება შემდეგ სტა-

დიებად შეიძლება დაიყოს:

- პრენატალური პერიოდი – ჩასახვიდან ბავშვის დაბადებამდე;
- ჩვილობა (ახალშობილობა, ტოდლერები) – დაბადებიდან 18-24 თვემდე;
- ადრეული ბავშვობა – 2-3 წლიდან 5-6 წლამდე;
- შუა ბავშვობა – 6-დან 11-12 წლამდე;
- მოზარდობა და სიყმაწვილე – დაახლოებით, 11-12 წლიდან 18-21 წლამდე.

განვითარება ჩასახვიდან იწყება და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, თუმცა მასთან დაკავშირებული ცვლილებები ახალგაზრდა ასაკში ჩვეულებრივ უფრო აშკარა და სწრაფია. სწორედ ამის გამოა, რომ ასაკობრივი პერიოდების ჩარჩოები ადრეულ წლებში შედარებით ხანმოკლეა და განვითარებასთან ერთად იზრდება. გარდა ამისა, მოცემული პერიოდებიცაა ინდუსტრიულ კულტურათა ადამიანებს უფრო შეესაბამება. მაგალითად, თუ აქ მოზარდობისა და სიყმაწვილის ასაკი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდია და თითქმის 20-21 წლამდე გრძელდება, სხვა საზოგადოებებში, სადაც მძიმე ეკონომიკური პირობებია და ხანგრძლივი განათლების მიღების აუცილებლობა არ არის, მოზარდობის ასაკი შეიძლება შედარებით ხანმოკლე იყოს და 2-4 წელიწადში დასრულდეს.

## ადამიანის განვითარების ისტორიული და თანამედროვე ხედვა

ბავშვისადმი დამოკიდებულება როგორც ისტორიულ, ისე კულტურულ ასპექტში ვარირებს. დღესაც არის კულტურები, სადაც ბავშვებს აღიქვამენ, როგორც მუშახელს, როგორც საკუთრებას, რომლის გაყიდვაც ან გაცვლა შეიძლება, როგორც უფლებო არსებებს; მაგრამ თანამედროვე კულტურათა უმრავლესობაში ბავშვებს მკაფიო და გამოხატული უფლებები აქვთ, მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა ან ექსპლუატაცია აკრძალულია.

- არსებობდა აზრი, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ბავშვებს მინიატურულ მოზრდილებად თვლიდნენ; ახლა ითვლება, რომ ეს მოსაზრება, უკეთეს შემთხვევაში ძალზე გადაჭარბებულია;
- მოზარდობის ასაკი ინდუსტრიული რევოლუციისა და განათლების მიღების მოთხოვნის ზრდის შედეგად დამოკიდებულების გახანგრძლივებულ პერიოდად იქცევა;
- რამდენად ხანგრძლივია მოზარდობის ასაკი, ეს კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ კონტექსტზეა დამოკიდებული.

## აქტიური და პასიური განვითარება

ამ საკითხის საწყისები ფილოსოფიაში უნდა ვეძებოთ, მაგრამ ის ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემების, კერძოდ კი, განათლების პრობლემების გადაჭრის დროსაც აქტუალური გახდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლის პირველი წლების შესახებ. ბავშვი აქტიურად იძენს ცოდნას, წარმოდგენას იქმნის მორალსა და ღირებულებებზე, თუ პასიურად რეაგირებენ იმაზე, რასაც აღიქვამენ, რასაც მათ ასწავლიან? ისინი საკუთარი თავის ფორმირებას ახდენენ თუ მათი ფორმირება სხვა ადამიანების, ფიზიკური გარემოცვის ზემოქმედების შედეგია?

ამ შეკითხვებზე ყველაზე მარ-

ტებული პასუხია – ორივე მიდგომა. დროის უმეტეს ნაწილს აქტიურად შევიმეცნებთ სამყაროს და საკუთარი ხედვის კონსტრუირებას ვახდენთ, მაგრამ ხშირად მხოლოდ რეაგირებას ვახდენთ იმაზე, რასაც ფიზიკური და სოციალური გარემო გვათავაზობს.

## განვითარების ზოგადი სქემა

- 1. დრო**  
ქრონოლოგიური დრო, ანუ განვითარების სტადიები; კრიტიკული და სენზიტიური პერიოდები.
- 2. პიროვნული კონტექსტი**  
ადამიანის შინაგანი ცვლადები – პიროვნული მახასიათებლები, კოგნიტიური თავისებურებები, ემოციები და ა.შ.
- 3. პიროვნებათშორისი კონტექსტი**  
ინდივიდუუმებს შორის ინტერაქციები: ოჯახი და თანატოლთა ჯგუფი.
- 4. საზოგადოებრივი კონტექსტი**  
ინდივიდუალური ცვლადები, რომელიც განიხილება, როგორც ერთი მთლიანი. მაგალითად, როგორც ჯგუფი, სოციალური კლასი და კულტურა. სოციალური კლასის, სიღარიბის, კულტურულ ღირებულებათა როლი.
- 5. ორგანული კონტექსტი**  
ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა მახასიათებელი: გენეტიკა, ორგანიზმის ფუნქციონირებაში მონაწილე მექანიზმები, პირველ რიგში, თავის ტვინი; აგრეთვე ფაქტორები, რომლებიც იმ თანდაყოლილ ინდივიდუალურ განსხვავებებს განსაზღვრავენ, რასაც ტემპერამენტს ვუწოდებთ.

## ურთიერთმოქმედება – ყველა ეს კონტექსტი მუდმივ ურთიერთქმედებაშია.

**ტრანსაქცია** – ბავშვსა და მის ოჯახურ-სოციალურ კონტექსტს შორის დინამიური ურთიერთზემოქმედების სერია. მაგალითად, ბავშვის ნაადრევი დაბადება – მშობლის შფოთვა – „ძნელი“ ტემპერამენტის ბავშვი – მშობლის მიერ თავის არიდება – ბავშვის მეტყველების განვითარების შეფერხება.

## განვითარების ზოგადი სქემა ჩ. ვენერის მიხედვით. განვითარების კონტექსტები (ორგანული, პიროვნული, პიროვნებათშორისი, საზოგადოებრივი) იხ. ცხრილი.

**რისკი** – ნებისმიერი გარემოება ან პირობა, რომელიც ფსიქოპათოლოგიის განვითარების ალბათობას ზრდის.

**სუსტი ადგილი** – რისკზე რეაქციას აძლიერებს.

**დამცავი ფაქტორი** – რისკის პირობებში ჯანსაღ განვითარებას უწყობს ხელს. ასეთი ბავშვები სიცოცხლისუნარიანები არიან.

## დამცავი მექანიზმები:

- რისკის ზეგავლენის შემცირება (მშობლის აქტიური დამოკიდებულება ბავშვის თანატოლებთან ურთიერთობაში არახელსაყრელი უბნის ნეგატიურ გავლენას ამცირებს);
- ნეგატიური ჯაჭური რეაქციების შესუსტება. „იოლი“ ტემპერამენტის ბავშვის მშობელთა რისხვის ობიექტი იშვიათად ხდება.
- ფაქტორები, რომლებიც თვითშეფასებას და თვითეფექტურობას ზრდიან;
- შესაძლებლობათა გამოყენება.

## ბავშვის განვითარების დამცავი და რისკ-ფაქტორები

ბავშვის განვითარებაზე ერთდროულად ზემოქმედებს როგორც დამცავი ფაქტორები, ისე რისკ-

ფაქტორები (არალირსეული მოპყრობა ოჯახში, დაცინვა, ბულინგი სკოლაში, ემოციური ტრაგედიები). დამცავი ფაქტორები განვითარების დარღვევის რისკის ხარისხს ამცირებენ, ნეგატიურ ჯაჭურ რეაქციას ამუხრუჭებენ, თვითშეფასებას და თვითპატივისცემას აყალიბებენ.

## დამცავი ფაქტორებია: ოჯახი

- ძლიერი პოზიტიური კავშირი თუნდაც ერთ მშობელთან, ნათესავთან ან თუნდაც ერთ ძმასთან/დასთან;
- ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა ოჯახში.

## სკოლა/სამსახური

- გამოჩენილი უნარები თუნდაც ერთ სასკოლო საგანში;
- წერა უყვარს (წერს დღიურს);
- კითხვა უყვარს;
- კარგად სწავლობდა თუნდაც პირველ სასწავლო წელს;
- შრომითი ჩვევები აქვს;
- ორატორული ნიჭი გააჩნია;
- რომელიმე პროფესიაზე ოცნებობს.

## ფსიქოლოგიური თავისებურებები

- იუმორის გრძობა აქვს;
- სტრესულ სიტუაციებთან შეგუება შეუძლია;
- პოზიტიური ცხოვრებისეული მოვლენებით გახარება შეუძლია;
- საკუთარი გრძობების გამოხატვა და სხვისი გრძობების ამოცნობა შეუძლია;
- ნდობა შეუძლია.

## მეგობრები

- თუნდაც ერთი მეგობარი ჰყავს;
- მეგობრებთან კამათი შეუძლია;
- თანატოლებს მოსწონთ;
- საპირისპირო სექსის ბავშვებთან ურთიერთობა შეუძლია.

## მორალი/ეთიკა

- ეთიკური ღირებულებები გააჩნია;
- მორწმუნეა.

## სხვა

- შემოქმედებითი/არტისტული უნარები აქვს;
- თუნდაც ერთი ჰობი (გატაცება) აქვს;
- სკოლისგარეშე წრეებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში მონაწილეობს;
- სპორტს მისდევს.

## რისკ-ფაქტორებია: ოჯახისათვის დამახასიათებელი რისკ-ფაქტორები

- ფსიქიატრიული დიაგნოზი;
- გონებრივი განვითარების შეფერხება;
- მშობლები ანტისოციალური, კრიმინალური ქცევით;
- ძალადობა ოჯახში (კონფლიქტები ოჯახში);
- მწვავე კრიზისი ოჯახში;
- მძიმე ავადმყოფობა, ჰოსპიტალიზაცია;
- უმუშევრობა;
- განქორწინება;
- პატიმრობა;
- ემიგრაცია;
- ყოფითი პრობლემები ოჯახში;
- მრავალრიცხოვანი ოჯახი;
- ფიზიკური საშიშროებები ოჯახში;
- უსახლკარობა.

## სოციალური რისკ-ფაქტორები

- ახლო გარემოცვა: კრიმინალი, ალკოჰოლი, ნარკოტიკები;
- პროსტიტუცია;
- მეგობრების ნეგატიური გავლენა;
- უსაქმურობა;
- დაბალი განათლება და კულტურა;
- ინტერესების სიღარიბე.

გაგრძელება იქნება

## განვითარების ზოგადი სქემა ჩ. ვენერის მიხედვით.

კონტექსტი	რისკ-ფაქტორები	სუსტი ადგილები	დამცავი ფაქტორები
ორგანული	მემკვიდრული დაავადებები. პრე-და პერენატალური ზემოქმედებები. ნევროლოგიური დარღვევები. არასწორი კვება.	„ძნელი“ ტემპერამენტი	„ადვილი“ ტემპერამენტი
პიროვნული	დაბალი ინტელექტი. დაბალი თვითშეფასება. დაბალი თვითკონტროლი. მიჯაჭვულობის უკმარისობა.	გენდერი. დაგვიგვის სუსტი უნარი	ინტელექტი, კომპეტენტურობა. სოციალულობა
პიროვნებათშორისი	ოჯახური დისჰარმონია. სასტიკი მოპყრობა ან უგულვებლყოფა	ორივე მშობელთან ცუდი დამოკიდებულება. მზრუნველობის არარსებობა	პოზიტიური, სტაბილური მზრუნველობა. უფროსების კომპეტენტური მოდელი. მშობლების მეთვალყურეობა
საზოგადოებრივი	სიღარიბე		პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც ენიშნა ალმდგებრივ საზოგადოებრივ იდეალებს ან მოლოდინებს



# „აქრძალული ხილი“ უფრო მიმზიდველია

– მიშველეთ! ისევ მანანის ფაფა... – ნიკუშა დაბლერილი მიუჯდა მაგიდას. დედა სერიოზულად ეუბნება:

– იცოდეთ, ძალიან ბევრი არ ჭამო! ისევ მუცელი ატკივდება!

ბავშვი დედას გაკვირვებული უყურებს და ვერ იხსენებს, როდის უჭამია მანანის ფაფა უზომოდ ბევრი.

დედა კი აგრძელებს:

– ნუ მიყურებ ასეთი თვალებით. ბავშვებს მანანის ფაფა რომ უყვართ, ეს ყველამ იცის. ნიკუშა ჩაფიქრდება, როგორც ყველა ბავშვს, მასაც კონკრეტული აზროვნება აქვს და კონკრეტული სახელები აინტერესებს:

– რომელ ბავშვებს?

– რომელს? ყველას! მე თვითონ, პატარა რომ ვიყავი, ვგიჟდებოდი ფაფაზე. მასსოვს, ბებია დიდი ქვაბით რომ მოხარშავდა, შევიპარებოდი სამზარეულოში და ვჭამდი და ვჭამდი... ერთხელ მთელი ქვაბი მოვასუფთავე.

– მთელი ქვაბი შეჭამე?

– დიახ. ასე რატომ მიყურებ, შეგშურდა? იცოდეთ, ნელა-ნელა ჭამე და დამატება არ მოსთხოვო.

ნიკუშა ფიქრებში გაერთო და ისე მოასუფთავა თეფში, რომ ვერც კი გაიგო.

ჭამის შემდეგ, ჭურჭლის გარეცხვის დრო დადგა. დედა ეუბნება მამას:

– მე ჭურჭელს ვრეცხავ, შენ ამშრალე.

– არა, მე ვრეცხავ, შენ ამშრალე.

– არა, ჩემო კარგო, დღეს მე ვრეცხავ, შენ – ხვალ...

საუბარში პატარა ნიკუშა ერთვება:

– მე?

– შენ ითამაშე!

– არა, ჭურჭლის გარეცხვა მინდა!

– ამას დამსახურება უნდა.

დედა და მამა ბავშვს ყურადღებას აღარ აქცევენ და საქმიანობას იწყებენ. ზურგს უკან სლუკუნის ხმა ესმით – ნიკუშა სატირლად ემზადება.

დედა: – შენ ჯერ არ წასულხარ?

– მე... მე...

– რა შენ?

– ჭურჭლის გარეცხვა მინდა-ა-ა-ა...

დედა ეუბნება მამას:

– რა გეწყობა, მოდი, ერთი თეფში გაეცხვი.

ნიკუშა ჩუმდება. ბავშვები, ხომ, როგორც წესი, მიზანიმართულად ტირიან ხოლმე, მიზანს როგორც კი მიადრეკენ, მომენტალურად ჩუმდებიან.

ბავშვი დედასთან ერთად რეცხავს თეფშს. დედა აჩვენებს, როგორ უნდა გარეცხოს. საქმე გაკეთებულია. ნიკუშა გაბადრულია – ის მართლაც კმაყოფილია.

სამწუხაროდ, ასეთი ოჯახური სცენები იშვიათია. უფრო ხშირად მშობლები შვილების დარწმუნებას ცდილობენ, რომ ფაფა ბავშვისთვის სასარგებლოა და მოსაწყენ ლექციას უტარებენ. მსგავსი სურათია ჭურჭლის დარეცხვასთან დაკავშირებითაც. თითქმის ყველა მშობელს სურს, რომ ბავშვმა ჭამის



შემდეგ თვითონვე მილაგოს სუფრა. მაგრამ როგორ უნდა მილაგოს ამას? – დაარწმუნოს! კეთილგონიერებისკენ მოუწოდოს! მაგრამ პატარებს რა კეთილგონიერება უნდა მოსთხოვო?!

როცა პატარას ვეუბნებით: ფაფის ჭამა სასარგებლოა! – ამით გონიერებისკენ მოვუწოდებთ. ვგულისხმობთ, რომ ბავშვი დაფიქრდება: ფაფა, მართლა, სასარგებლოა ჩემი მზარდი ორგანიზმისთვის! ე.ი. უნდა ვჭამო. მოკლედ რომ ვთქვათ, ვითარებას გააანალიზებს, ანონ-დანონის ყველა „პოს“ და „არას“ და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. არა და არა! ის ხომ ბავშვია... და მისი რეაქციაც სრულიად საპირისპიროა. აქედან დასკვნა: როცა ბავშვს კეთილგონიერებისკენ მოუწოდებთ, იცოდეთ, რომ არარსებულ რამეს სთხოვთ. მისი გონიერება ჯერ არც კი ჩამოყალიბებულია. აი, ქვეცნობიერი კი უკვე მუშაობს, მაგრამ ქვეცნობიერის დონეზე ალქმა გაცნობიერებული ალქმისგან განსხვავდება – ბავშვის ქვეცნობიერი ასე „ფიქრობს“: თუ ამდენს მარწმუნებენ, ეტყობა, რაღაც ძალიან ცუდაა. არ გავაკეთებ!

გახსოვდეთ, გონიერებისკენ მოწოდება 5 წლამდე ბავშვებზე სასურველ შედეგს არ მოიტანს. იცით, ეს დაახლოებით რას ჰგავს: როცა ძალი გიყვით, თქვენ კი გეშინიათ, ის უფრო და უფრო ავდება. თუ მისკენ თამამად გაეშურებით, გაიქცევა. ესეც ერთგვარი ჩაგონებაა, ოღონდ საპირისპირო შინაარსის. როცა გეშინია, ძალი უფრო თამამდება, თუ სიმამაცეს გამოიჩენთ, მაშინ გაუბედავი გახდება. მისი რეაქცია ასეთია: თუ ადამიანი უკან იხევს, უნდა შევუტუო, თუ მიტევს – უნდა გავიქცე.

ნიკუშაც ხომ უკმაყოფილო იყო, ჭურჭელი რომ არ გაარეცხინეს, შემდეგ კი უზომოდ კმაყოფილი დარჩა. რატომ? იმიტომ რომ მას ჩააგონეს, რომ ჭურჭლის რეცხვის უფლება უნდა მოიპოვო. აი, მამისთვის შეიძლება, მისთვის კი – არა. ჭურჭლის რეცხვა სასიამოვნოა, კარგია – ასეთი იყო „გზავნილი“. რა თქმა უნდა, მასაც მოუნდა ამის კეთება. მის ადგილზე ნებისმიერი ბავშვი ასე მოიქცეოდა. რადგან ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჩვენს ბავშვებზე და მათზე ვზრუნავთ, უნდა ვმართოთ კიდეც მათი საქციელი! საქმე იმაშია, როგორ ვაკეთოთ ეს! ერთმნიშვნელოვნად – ძალადობის გარეშე!

ჩვენ მუდმივად ვაპიზნობთ ჩვენს შვილებს ისე, რომ ხშირ შემთხვევაში ამას ვერც კი ვამჩნევთ. მათგან შეგნებულ ქმედებას ველით მაშინ, როდესაც თავად, ხშირად გონიერებისგან შორს ვართ. იმიტომ შედეგად საპირისპიროა – ბავშვების მთელი არმია, რომლებსაც არც ფაფა უნდა, არც ჭურჭლის გარეცხვა, არც კბილების გაწმენდა... თუმცა შესაძლებელი იყო, მათ ეს ნებაყოფლობით, სიამოვნებითაც კი ეკეთებინათ, უფროსები რომ უფრო გამჭრიახები ყოფილიყვნენ.

როცა ბავშვთან ერთად სეირნობთ და უცებ ეუბნებით: გეყოფა სეირნობა! ჩქარა სახლში! ქვეტექსტი მისთვის ასეთია: სეირნობა კარგია. კიდეც მინდა სეირნობა, არ მინდა სახლში (რადგან მარწმუნებენ, რომ სახლში უნდა წავიდე). მენტორის როლს, ბუნებრივია, ჯიუტი ბავშვის როლი შეესაბამება (ვიცხვებ უნდა დაარიგო და გადაარწმუნო). როცა გინდათ, რომ ბავშვმა რამე გააკეთოს, თქვენი მაგალითით უნდა აჩვენოთ, რომ ეს საინტერესო და სასიამოვნოა და მას აუცი-

ლებლად გაუჩნდება სურვილი, თქვენ მოგბადოთ. და პირიქით – თუ გსურთ, რამეს გადააჩვიოთ, მუდმივად უმეორეთ და აიძულეთ, ხშირად აკეთოს.

იცოდეთ, რომ ბავშვი საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას უფროსებისგან იღებს. იმიტომ უნდა ჩავაგონოთ ის, რაც საჭიროა და ვეცადოთ, ყოველთვის დადებითი როლი დავაკისროთ.

მოდით, ერთად ვიფიქროთ – როცა ბავშვთან ერთად სეირნობთ და სახლში წასვლის დროა, მას კი არ სურს – როგორ მოვიქცეთ?

შეიძლება უბრალოდ მიბრუნდეთ და წახვიდეთ, ბავშვს მარტო დარჩენის შეეშინდება და გამოგყვებათ. თუ არ ეშინია, მაშინ, რა თქმა უნდა, არ დაგემორჩილებათ. ამ შემთხვევაში, მხოლოდ შიში დაგეხმარებათ შედეგის მიღწევაში.

გასაგებია, რომ შინ ბევრი საქმე გელოდებოდა და სეირნობა აღარ გინდათ. თუ ბავშვი 5-6 წლისაა, მან უკვე უნდა იცოდეს სხვებისთვის ანგარიშის განევა და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ თუ მხოლოდ 3 წლისაა? მას უფრო მეტად მოუწდება სეირნობა („აკრძალული ხილის“ ეფექტი).

შეგიძლიათ, უბრალოდ, ძალით წაიყვანოთ შინ. ეს მასში შინაგან პროტესტს გამოიწვევს, მართალია, ფიზიკურად წინააღმდეგობას ვერ გაგიწევთ, მაგრამ ოდესმე ამის დროც მოვა. დაფიქრდით, ღირს კი მასში „ამბოხის სურვილის“ გაღვივება?

დაბოლოს, სეირნობის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე, შეგიძლიათ უთხრათ: „ნუ ჩქარობ სახლში წასვლას! ცოტა კიდევ ვისეირნოთ“. ბავშვი შეეცდება დაგარწმუნოთ, რომ სულაც არ ჩქარობს შინ დაბრუნებას. თქვენ მაინც სერიოზულად გააგრძელებთ: „ნუ ტყუი, ხომ გხედავ, რომ გინდა წასვლა (მანქანით თამაში, მულტივიდეოს ყურება და ა.შ.)“. მისი ქვეცნობიერი იწყებს „მსჯელობას“: რადგან დედას ჰგონია, რომ სახლში წასვლა მინდა, ე.ი. მართლაც მინდა!

თუ გსურთ, რომ ბავშვი იძულების გარეშე დაგემორჩილოთ, გონიერულად მოიქცით!

■ ნუ ეცდებით ჯიუტად იმის მტკიცებას, რომ რაღაც იმის გაკეთება აუცილებელია. ამით ბავშვის წინააღმდეგობას გამოიწვევთ.

■ ნუ დაატანთ ძალას. ამ შემთხვევაშიც იმთავითვე იგულისხმება, რომ ბავშვი წინააღმდეგობას გაგიწევთ.

■ თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს, დარწმუნებული იყოთ, რომ ის ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა.

■ ყველაფერი, რის კეთებასაც გინდათ, რომ ბავშვი მიაჩვიოთ, მის თვალწინ სიამოვნებით აკეთეთ.

■ მუდმივად შთაგონეთ, რომ ძალიან კეთილი, ჭკვიანი და გულისხმიერია (თუნდაც ამ ეპითეტებს არ იმსახურებდეს). დროთა განმავლობაში, მართლაც დაიჯერებს, რომ ასეთია და ეცდება ეს საქციელითაც დაამტკიცოს.

## ინფორმაცია

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში ქიმიის გაკვეთილს დაეწინაურა, რომელიც ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით წარიმართა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა ჩაატარა ტრენინგები და ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის 150 მასწავლებელი გადამზადდა როგორც თბილისის, ასევე რეგიონების 50 საპილოტე სკოლიდან. ცენტრის ექსპერტების მიერ გადამზადებული პედაგოგები თავიანთ სკოლებში საგნების სწავლების თანამედროვე მეთოდს გამოიყენებენ, ხოლო შემდგომ საპილოტე სკოლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, ზოგადი რეკომენდაციები შემუშავდება საჯარო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასანერგად.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც არ არსებობს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა. პრეზიდენტის ინიციატივის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მხარდაჭერით, ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგებს საშუალება ექვლივათ, გაამდიდრონ და უფრო საინტერესო გახადონ გაკვეთილები ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენებით.

სკოლებში პროგრამის დანერგვა და სასწავლო პროცესში



აქტიურად გამოყენება მასწავლებლებს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ მიღწევაში დაეხმარება. კერძოდ, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს შეუწყობს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებისათვის საჭირო კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე დაეხმარება მათ ცნებების უკეთ გააზრებაში.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, განათლების რეფორმის ერთ-ერთი მიზანი მომავალი თაობებისათვის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაა, რომლებიც მოსწავლე-

ბის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და გამოყენებას, ახალი მოთხოვნების შესაბამისად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას გულისხმობს.

\*\*\*

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა 2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამები. ამ მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა საგნობრივ ექსპერტებთან ერთობლივ შეხვედრა გამართეს, რომელსაც ესწრებოდნენ მონვეული ექსპერტები სამეცნიერო წრეებიდან. იხილი 2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამებს გაეცნენ და შეაფასეს.

2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების პროგრამები, რომელიც სექტემბერში უნდა დაამტკიცებულიყო, მარტის ბოლოს მომზადდა, რითაც მოსწავლეებს მეტი დრო მიეცემოდათ გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

უკვე დამტკიცებულ პროგრამებზე დაყრდნობით, გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ტესტებს შეადგენს, რომლის აპრობაციაც მასში მოხდება. აპრობაციის შემდეგ კი საბოლოოდ დადგინდება საატესტატო გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

საგანმანათლებლო კარავი

სვანეთი

დასასრული

გ. ნიჟარაძემ, გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშაობაში სკოლის გახსნის საქმეში. სასკოლო პრობემის შესასწავლად და ნიადაგის მოსამზადებლად, 1889 წელს, სვანეთში ჩამოსულ გუბერნატორს, გენერალ-მაიორ გროსმანს და განათლების საოლქო ინსპექტორს გენშერს საქმის მოგვარებაში დაეხმარა (გ. ნიჟარაძის ბიოგრაფიიდან). მულახის საზოგადოებასთან ერთად გადაწყდა, რომ სასკოლო შენობა უნდა აშენებულიყო არა მუშაობაში, როგორც ეს განცხადების მიხედვით იყო გათვალისწინებული, მულახის შუა სოფელში – ჭოლაში – ნაპირა სოფლებიდან ბავშვებისათვის გზის შესამოკლებლად. სკოლის ასაშენებლად ასიგნებული იყო 60000 მანეთი ოქროს კურსით. სკოლის მშენებლობა იმავი წელს დაიწყო და 1891 წლის შემოდგომაზე ექსპლუატაციაში შევიდა. თვით „გაბრიელ მასწავლებელმა“ სკოლა შექმნა და დაიწყო სწავლება 1889 წელს, მაშინ, როცა გადაწყდა სკოლის გახსნა გუბერნატორთან, ეს იყო „მუშაობის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი“, ვაჟთა ორი და ქალთა სამი განყოფილებით. ქალთა განყოფილებისათვის, 1892 წელს, ააშენეს მეორე კორპუსი. ქალებს და ვაჟებს მესამე და მეოთხე კლასებში აერთიანებდნენ, ასწავლიდნენ ჯერ ნერა-კითხვას და სიტყვებს (სვანურად თარგმნით), მერე ლოცვებს და ფსალმუნებს, ბოლოს საბუნებისმეტყველო საგნებს: მათემატიკას, ფიზიკას, ისტორიას და გეოგრაფიას. ჰქონდათ შრომითი განათლებაც – ხელოსნობისა ვაჭრობისათვის და ხელსაქმე – ქალებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა იყო 5 წელი. პირველ წელიწადს მასწავლებელი მხოლოდ გაბრიელი იყო, შემდეგ ემატება რუსი პედაგოგი – გვარამია საკინი. მას მოწაფეობთან და ხალხთან ურთიერთობა გაბრიელის წყალობით არ გაუჭირდა. ა. ჩარკვიანის ცნობით, 1895 წელს ამ სკოლაში სწავლობდა 100 მოსწავლე და ასწავლიდა 4 მასწავლებელი (ა. ჩარკვიანი „სვანეთი“, 1967 წ.). მულახის სკოლაში თანდათან იზრდებოდა მოსწავლეთა კონტინგენტი და თანდათან ემატებოდა პედაგოგებიც, მათ შორის კორნელი ჯუღელი, შემდეგში თბილისში ერთ-ერთი წარჩინებული სკოლის დირექტორი, ამავე სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდები – მარიამ შერვაშიძე, ივანე და კონსტანტინე გუჯავაძეები, ნატაშა ნავროიანი, ელენე დედარიანი, ნადია იოსელიანი და სხვები. მულახის სკოლის სახელწოდების გამოცვლაზე („მუშაობის“ მაგიერ, „მულახის“ რომ უნდა რქმევოდა) არ შეუწყუხებიათ თავი, რადგან ამით სწავლებაში არაფერი იცვლებოდა. ამ სახელით იარსება სკოლამ 1917 წლის რევოლუციამდე. მან წარუშლელი კვალი გაავლო სვანეთის ცხოვრებაში.

გაბრიელ ნიჟარაძემ შეძლო ჩაენერგა მოსწავლეებისათვის უდიდესი ინტერესის სწავლის მიმართ და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა პედაგოგებისათვის მოვალეობის მიმართ.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა როგორც მოსწავლეებისათვის, ისე საზოგადოებისათვის და სვანეთში ჩამოსული ყველა სტუმრისა და ტურისტისათვის სკოლის სათანადო დონეზე მოწყობას. აქ ყველა კუთხე და კუთხული მოვლილი იყო. თვით გაბრიელი იკონებს კმაყოფილებით სტუმრების მიერ განცდილ საიმოვნებას. სკოლას ჰქონდა 5 საკლასო და 3 ადმინისტრაციული ოთახი, მაღალი ოსტატობით გათვლილი ავეჯი, ლამაზად შემოკავებული და მოვლილი ეზო, ლამაზი დიზაინით ჩასმული ჭიშკრებითა და ნარგავებით. იმ დროში, საოცრად რთულ, არეულ და დაძაბულ მდგომარეობაში, ეს მეორესხარისხოვანი ნამდვილად არ იყო მოსწავლეებისა და საზოგადოების განწყობისათვის.

მთლიანად სვანეთში კარგა ხანს ან არ არსებობდა სხვა საერო სკოლა, ან ასე ნაყოფიერად არც ერთი არ მუშაობდა, რადგან ახლომდებარე სოფლებიდან აქ მოდიოდა ყველა, ვისაც სწავლა უნდოდა. ამ სკოლის მრავალმა კურსდამთავრებულმა მიიღო პროფესიული განათლება ქუთაისში, ბათუმში, გორში და თბილისში, რუ-



სეთის ქალაქებში – მოსკოვში, პეტერბურგში, ოდესაში. მრავალი მათგანი დაუბრუნდა სვანეთს და იმუშავა პროფესიის შესაბამისად სხვადასხვა დაწესებულებებში. მათ შორის თვით გაბრიელის შვილია გიორგიმ, ოდესის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, სვანეთში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას – სამედიცინო მომსახურებას ჩაუყარა საფუძველი. ჯერ საკუთარ სახლში (მესტიაში) გახსნა საავადმყოფო, მერე საბჭოთა ხელისუფლებამ, 1920-იან წლებში, ააშენა ოცოთახიანი რაიონული საავადმყოფო და აქ ემსახურა ხალხს სიცოცხლის ბოლომდე. მამის პროფესია გააგრძელეს გიორგიმ შთამომავლებმაც.

მულახის სკოლაში უნდა მიეღო განათლება ე. გაბლიანს, თვით გაბრიელ მასწავლებლის ხელში, რადგან 1883 წელი უწერია დაბადების თარიღად. ამ სასწავლებელში ისწავლა სილიბისტრო ნაველიანი, სვანეთში ბოლშევიკური მოძრაობის ლიდერმა, მაგრამ ამ მრწამსით ნამდვილმა პატრიოტმა. ამ ორმა, ერთმანეთთან პოლიტიკური მრწამსის გამო დაპირისპირებულმა, ადამიანმა, ერთმანეთის მხარდამხარ სვანეთის კულტურულ და აღმშენებლობით საქმიანობაში უდიდესი ამაგი დაიდეს (ორივეს დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ეგნატეს – თავისუფალი მოსმენით, რადგან სტუდენტობის ასაკს გადაცილებული ყოფილა. ნიკო მარის დაუნიშნული თხოვნით ნასულა პეტერბურგში, მისივე რეკომენდაციით თანამშრომლობდა იქვე სამეცნიერო აკადემიასთან).

უდიდესი მნიშვნელობა იქონია მულახში სკოლის გამართვასა და ზოგადად სწავლის მიმართ ხალხის განწყობის შექმნაში მულახის მამასახლისის, ბიძე გუჯავაძისა და მამა გიორგი მარგალიანის (მულახში „უფროსი მღვდელი“ ახელდებოდა) აქტიურმა ჩარევამ და ამ საქმისადმი სერიოზულმა დამოკიდებულებამ. მათ გარეშე შეიძლება აქაც ისე შეწყვეტილიყო სწავლება, როგორც წყდებოდა სხვა სოფლებში.

ალ. ჩარკვიანს გრეჩინკოვის ნიგნიდან „В ледяном колоде Очерки Вер.ней Сванетии“ (М. 1930. стр.72) მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ 1889-1890 წლებში სოფელ ჟამუშში იყო გახსნილი „სამრევლო სკოლა“, რომელიც „პირველი მერცხალი“ იყო სვანეთში. გაბრიელის ყოფილი მოსწავლის, ნატაშა კონსტანტინეს (ბიძეს) ასული გუჯავაძიანის ინფორმაციით, ეს იყო „გაბრიელ მასწავლებლის“ სკოლა. ის მაშინვე შეუდგა ამ საქმეს მულახში, როცა საგუბერნო სამინისტროში გადაწყდა აქ სკოლის დაარსება და სასკოლო შენობის შენება. გაბრიელ მასწავლებელმა ჯერ მუშაობა, განცხადებაში მითითებულ უკაცურ სახლში დაიწყო პირველი კაცვეითი, მაგრამ შეუძლებელი იყო იქ ზამთრის გადატანა. სწავლება რომ არ შეწყვეტილიყო, მამა გიორგიმ გადაიყვანა იქვე, თავის სახლში, მაღელ ჭოლაში გამონახეს თავისუფალი ოთახი, ცოტა ხნით, იქიდან ჟამუშში გადავიდნენ, სადაც სკოლის აშენებამდე დაყვეს დრო. ქალბატონ ნატაშასა და მულახელი ასაკოვანი ხალხის თქმით, ამ სოფლებში გაბრიელის გარდა სკოლა არავის ჰქონია (ქალბატონი ნატაშა, დაბადებული 1895 წელს, მულახის სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას, მიჩნეტილი ჰქონდა დამსახურებული

მასწავლებლის ნოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით). თვითონ გაბრიელი არაფერს წერს იმის შესახებ თუ როგორ დაიწყო აქ მისი მოღვაწეობა, წერს მხოლოდ, რომ სვანეთში სკოლის დაარსება იყო მისი „ოცნების აღსრულება“. თუ გრეჩინკოვის სიტყვას დავესვსებით, ეს სკოლა იყო „პირველი მერცხალი“ სვანეთში, ოღონდ არა დაარსების თარიღის მიხედვით, არამედ საოლის მყარად დაფუძნების მიხედვით. მან ნამდვილად მოიყვანა გაზაფხული განათლების სფეროში – დაწერა სწავლისა და სწავლებისადმი პასუხისმგებლობის მყარი ტრადიცია.

1892 წელს „აკაკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა ორგანიზაციამ“ სამრევლო სკოლები დააარსა იფარსა და მესტიაში. როგორც ჩანს, მესტიაში ზემოთ მოხსენიებული სამრევლო სკოლა ისევე არ არსებობდა. იფარში პედაგოგად დაინიშნა თავისი დროის წარჩინებული პიროვნება, მრავალი ეთნოგრაფიული წერილის ავტორი, ბლაღოჩინი ბესარიონ ნიჟარაძე. მან აქ სცადა ბიბლიოთეკის შექმნა, თუმცა რამდენად შესძლო ეს და რა ბედი ეწია მის მიერ მოპოვებულ ნიგნებს, უცნობია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა მამა ივანე მარგალიანი, თავისი დროის მოწინავე პიროვნება, მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი, შემდეგში სვანეთში პირველი ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ცნობილი ლოტბარი.

1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლებში“, მამა ივანე წერს, რომ თავისუფალ სვანეთში 14 მოქმედი ეკლესია, სადაც 15 მოძღვარი მოღვაწეობს, ამათგან 8 სვანია. ფუნქციონირებს 13 სკოლა: 7 – სამრევლო და 6 – სამინისტრო. სამრევლო სკოლაში სწავლობს 319 მოსწავლე, ხოლო სამინისტროში – 100-მდე. სამწუხაროდ ავტორი არ იძლევა ცნობას იმის შესახებ, თუ სად იყო დაარსებული სამინისტრო სკოლები. ზემოთ აღნიშნულ ცნობებში, დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობდა სკოლა ლახამულაში. სასკოლო საგნების მასშტაბით, ეს სკოლა საერო (ანუ სამინისტრო) უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ბატონ ივანესეული შეფასებაც სამღვდლოების მუშაობისა: „სვანეთის სამღვდლოებს არ მოუტანიაო ნაყოფი, ამას ვერ ვიტყვით, რადგან იგი შეძლებისდაგვარად წინ უძღოდა ხალხს სინდისიერად“. არანაკლებ ძვირფასია მის მიერ აღწერილი შედეგები სასწავლებლების მუშაობისა, რომლის მიხედვით, სვანეთში სკოლების კურსის გავლის შემდეგ, სხვადასხვა ქალაქებში მიიღო განათლება 30-35-მა ადამიანმა, ხოლო სწავლობს 20-25 სტუდენტი. ამავე წერილიდან ვეებულობთ, რომ სვანეთი ინფორმაციის ვაკუუმშიც არ იმყოფება: აქ გამოწვეული აქვთ და მოდის 2 ცალი გაზეთი „ივერია“, 3 – „ცნობის ფურცელი“, 2 – „კვალი“, 3 – „ნოვოე ობოზრენიე“, 2 – „აკაკაზი“, 1 – „სპ. ვედომოსტი“, 4 – „ნივა“ და 4 – „მყეყმისი“. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ სვანეთს უკვე ჰყავს საკუთარი ქვეყნის ბედით დაინტერესებული განათლებული ადამიანები.

საკუთარ ამავთან ერთად სხვა სკოლების მუშაობის შედეგად ჩანს გაბრიელ მასწავლებლის (ასე იყო დამკვიდრებული მისი სახელი) წერილში „სვანეთის სკოლების სტატისტიკა“ (1899 წ.). ავტორი დიდად

კმაყოფილია, რომ 1879 წლიდან (როცა იგი პედაგოგიურ ასპარეზზე გამოვიდა), დღემდე დახმარება გაუწია 34 სვანის სახელმწიფო ხარჯზე უმაღლესი და სპეციალური განათლების მიღებაში საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ავტორს ამ პირთა სიაც აქვს ჩამოწერილი. ჩვენთვის საინტერესო სწორედ ის არის, რომ მათ უმრავლესობას განათლებულ სვანეთის სკოლებში აქვთ მიღებული.

1910-იანი წლებიდან ხელისუფლებაში აქცენტი აიღო შრომითი სწავლებაზე. ალ. ჩარკვიანის ცნობით (დასახელებული ნაშრომიდან), სამინისტრო ხსნის ოთხნობიან შრომით სკოლებს წერეთში, მურშელში, ეცერსა და ჭუბურში. 1911 წელს ბერძენი ხსნის ორკლასიან სასწავლებელს სახელოსნო განყოფილებით, სადაც იღებდნენ მხოლოდ დაწყებით განათლებამიღებულ ვაჟებს, 11 წლის ზევით. მულახის სკოლა კი საბჭოთა წყობილებაში დამყარებამდე დარჩა „ორნობიანი ნორმალური სასწავლებლად“.

მულახის სკოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ ენაზე ნერა-კითხვის სწავლების დაშეგება. ეს მოხდა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, დიდი დავისა და ბრძოლის შედეგად. ქართულად ნერა-კითხვა III კლასში უნდა ესწავლებინათ. ქართული ენის გამო ქუთაისში მოწვეული სხდომების ოქმები ინახავდა (რუს მოხელეთა გვერდით), ქართველ მამულოშივითა და ქართველ რუსოფილთა სახელებსაც.

რევოლუციების პერიოდმა და არეულობამ, როგორც ეს ხდება ასეთ პერიოდებში, პარალიზება გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეგ. გაბლიანის ცნობით, სწავლის საქმე „მთლად გაიყინა“. 1920-იანი წლების დასაწყისიდან კი საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო, შეეკეთებინა სასკოლო შენობები, რომლებიც უკვე იყო აშენებული მულახში, მესტიაში, ლატალში, ფვარში, ფარში და ლახამულაში და გაწვავდა სწავლებას იმავე – შრომის სკოლების პროგრამით, რა თქმა უნდა, ქართულ ენაზე (ქართულ ენაზე სწავლება ხომ ოქტომბრის რევოლუციიდანვე აღდგა). 1925 წელს, ზემო სვანეთში, ფუნქციონირებდა 24 სკოლა (ეგ. გაბლიანი, დასახელებული ნაშრომი), 1920-30-იან წლებში ნაყოფიერად იმუშავა ნერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო („ლიკ“) სკოლამ.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მესტიის რაიონში, 1930 წელს, სოფელ ლენჯერში (მესტიიდან ერთ კილომეტრში) პედაგოგიური სასწავლებლის გახსნა. მანამდე სვანეთში (საბჭოთა ხანის სვანეთში) არ არსებობდა სკოლა, რომლის დამთავრების მერვე შესაძლებელი იქნებოდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში. ამის გამო, სწავლის გაგრძელების მსურველნი მიჰყავდათ სხვა რაიონებში, ბალსზემო სვანეთიდან – ვაგერში. 1930 წლის გვიან შემოდგომაზე, როცა ლენჯერის პედაგოგიური სასწავლებლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა, სამინისტროს ბრძანებით, რაიონიდან წასული მოსწავლეები დააბრუნეს მესტიაში. ეს იყო უდიდესი სიხარული და უმძიმესი ტვირთის მოხსნა ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. პედაგოგებმა უზრუნველყო ზემო სვანეთის დაწყებითი კლასები კვალიფიციური კადრებით, იარსება 1956 წლამდე.

საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე თანდათან ზრდიდა განათლების ბიუჯეტს. რა თქმა უნდა, ამას ვამბობთ მესტიის რაიონის მაგალითზე. 1930-იანი წლებიდანვე შენდებოდა ახალი სასკოლო შენობები. ამ ხანიდან ზოგადი განათლების მიღებას პრიორიტეტი ეძლევა. სოფლის სკოლები იქცა გლეხთა ახალგაზრდობის რვანლიან სკოლებად. მულახის სკოლაც 1935 წლამდე იყო გლეხთა ახალგაზრდობის რვანლიანი, ანუ არასრული საშუალო სკოლა. მას შემდეგ კი სრულ საშუალო სკოლადა გადაკეთდა, რაც არ იყო მულახს ზემოთ სოფლებში, იფარის გარდა. ამიტომ აქ მე-9 კლასიდან კიდევ მეტად იზრდებოდა მოსწავლეთა კონტინგენტი.

ზემო სვანეთის იმ სოფლებში, სადაც კონტინგენტი არ იყო საკმარისი, ყველგან დაარსდა არასრული საშუალო სკოლები. ხოლო იქ, სადაც დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის სკოლა შორს იყო ან გზა იყო საზოგადოებრივი სფეროსათვის, გახსნილი იყო ოთხნობიანი დაწყებითი სკოლები. სკოლების სიმრავლე სვანეთში რთული გეოგრაფიული მდებარეობითაც იყო გამოწვეული.

1960-70-იან წლებში დღის ნესარიგში დგება თანამედროვე სტანდარტის სასკოლო შენობების აშენება. აქ გათვალისწინებული იყო ბავშვთა მხატვრული ღონისძიებების ჩასატარებელი ფოიე და სპორტული დარბაზები. ამ ხანში (1958-1979 წლები) მესტიის რაიონში განათლების განყოფილების გამგე იყო ნიკოლოზ გუჯავაძე. მისი მუდმივი თვალყურის დევნის ქვეშ, ყოველ წელიწადს, შენდებოდა ზოგან სასკოლო შენობა, ზოგან – სასკოლო ინტერნატი, მასწავლებელთა სახლი, საბავშვო ბაღი. საარქივო ცნობების მიხედვით 1963-73 წლებში აშენდა 32 სასკოლო ობიექტი. 1979 წლამდე კი – 43 ობიექტი, მათ შორის 9 საშუალო სკოლის შენობა, 7 – რვანლიანი სკოლის, 6 – დაწყებითი, 9 – სასკოლო ინტერნატი, 5 – საბავშვო ბავშვთა და 8 – მასწავლებელთა სახლი. ჩაუტარდა რემონტი და მიშენება 2 საშუალო სკოლას და 2 – რვანლიანს. ამასთან ერთად აშენდა და 1967 წელს ექსპლუატაციაში შევიდა დაბა მესტიაში სკოლა-ინტერნატი ერთი სასკოლო და ორი საძინებელი კორპუსით, სასადილოთი და აბანოთი. ყოველივე ეს უდიდესი მიღწევა იყო (და მომავალშიც იქნება, ამ რესურსის ჯერჯერობად შენარჩუნებისა და გამოყენების შემთხვევაში), თავის დროზე მნიშვნელოვანდ შეუწყო ხელი სვანეთის მოსწავლე ახალგაზრდობის წარმატებებს სწავლაში, სპორტსა და ხელოვნებაში.

1997 წლის სტიქიამდე ზემო სვანეთში იყო 12 საშუალო სკოლა, 14 – რვანლიანი და 27 – დაწყებითი.

სვანეთის სკოლების მიღწევა ის, რომ მესტიის რაიონი რესპუბლიკაში პირველად გილზე იდგა უმაღლეს განათლებამიღებულთა შორის. მათ მიერ ჩადებული საძირკველი დევს ყველა იმ სვანის შრომაში, რომლებმაც წარმატებებს მოიპოვეს მეცნიერებაში, ხელოვნებასა და სპორტში. ეს კი ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ მამუე ლაპარაკი შორს ნავიყვანდა. ჩვენ ისედაც ვაგვიძლით საგაზეთო სტატიის ფარგლებს.

დაბოლოს, იმითვე მიინდა დავასრულო, რითაც დავიწყე და რითაც დაიწყე სვანეთში საჯაროდ განათლების მიღება: ღმერთის წყალობის „გაცხადებულად“ იქნა დაშვებული ღმერთის რწმენა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სვანეთისათვის – შეიქმნა ზემო სვანეთის ეპარქია, რომელსაც ღმერთს უძღვება მეუფე ილარიონ ქიტაშვილი. რეზიდენციასთან გახსნილია საერო და სასულიერო დარგების სკოლები, სადაც მრავალი ბავშვი ეზიარება ცოდნას.

**ჩაიო გუჯავაძე**  
სვანეთის ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმის ქრისტიანული კულტურის ფონდის კურატორი

სპორტი



\*\*\*

27 მარტს თბილისის №59 საჯარო სკოლამ (დირექტორი - თეიმურაზ კაცხაძე) მეორედ უმასპინძლა გლდან-ნაძალადევის სკოლების პირველობას ძიუდოში. ამ ტურნირის ჩატარების იდეა შარშან ამავე სკოლაში წარმოიშვა. იდეას საქართველოს ძიუდოს ფედერაციაც მიესალმა და ერთობლივი ძალეობით ძალიან კარგი წამოწყებაც დაემკვიდრა. წლებულსაც პირველობის მთელი სიმძიმე ფედერაციისა და სკოლის ხელმძღვანელთა მხრებზე გადავიდა, ფინანსურად კი გვერდში განათლების მუშაკთა პროფკავშირი დაუდგათ - საპრიზო ფონდი დააფინანსა.

აღსანიშნავია, რომ ამ სკოლას ძიუდოში, კონკრეტულად კი ქალთა ძიუდოში, გარკვეული ტრადიცია აქვს - სკოლის კურსდამთავრებულთა საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი ნაია ვეშაგური. სკოლის დირექტორი აპირებს, ეს ტურნირი ტრადიციულად აქციოს და სასწავლო საგანდაც წიდაობა აირჩია.

სამწუხაროდ, წლებანდელი პირველობა მასშტაბებით ჩამოუვარდებოდა შარშან-

დელს, თუმცა თავისი მისია მაინც პირნათლად შეასრულა. სპორტისადმი ინტერესის გაღვივებას თავი რომ დავენებოთ, მსგავსი შეჯიბრება მოზარდებს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების კარგი საშუალებაა. შეჯიბრების დროს მოგებულ-ნაგებულებს შორის მცირე ინციდენტებიც კი არ მომხდარა, არათუ სერიოზული უთანხმოება და მართლაც რომ მეგობრული ატმოსფერო სუფევდა. არადა, სამწუხაროდ, მოზარდთა ოფიციალურ ტურნირებში უსიამოვნო ინციდენტები ხშირად ხდება, აქ კი წინა პლანზე ჭეშმარიტად სპორტული პრინციპები იდგა.

ტურნირში გლდან-ნაძალადევის 11 სკოლის გუნდი მონაწილეობდა, 30 ფალავანი, შეჯიბრება 5 წონით კატეგორიაში ჩატარდა. პირად პირველობაში ყველას მასპინძლებმა აჯობეს, რომლებმაც 4 ოქროს მედალი მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებაც მათ დარჩა. მეორე ადგილზე №6 საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, მესამეზე - №16 სკოლისა. გამარჯვებულებს დიპლომებთან ერთად წმინდა გიორგის ხატები გადაეცათ. ღმერთმა ქნას, მათ შორის მომავალი ოლიმპიელებიც იყვნენ.



კვარცხლბაქი

როგორც გითხარით, სკოლის დირექტორის - თეიმურაზ კობახიძის დიდი სურვილია, ეს შეჯიბრება ტრადიციულად აქციოს და გაისადაც ჩაატაროს. ვფიქრობთ, ძალიან კარგი იდეაა და მსგავს პირველობას სხვა რაიონებშიც თუ ჩაატარებენ, ჩინებული საქმე იქნება. ეგ კი არა, სკოლებშიც თუ დაინერგება. რა დასამალია და მოზარდებს აკლიათ ასეთი შეჯიბრებები. თანაც, სპორტი მათი ქუჩიდან მოწყვეტის საუკეთესო საშუალებაა.

ყოველ შემთხვევაში, 59-ე სკოლაში ამაზე სერიოზულად ფიქრობენ. როგორც ბატონმა თეიმურაზმა გვითხრა, ამჟამად მიმდინარეობს სპორტული დარბაზის რემონტი, მისი ამოქმედების შემდეგ კი სპორტული ცხოვრება კიდევ უფრო აქტიური გახდება.

- 55 კგ. - 1. ნიკოლოზ შიომღველიშვილი (№16 სკოლა); 2. კოტე ლაფერაშვილი (№16); 3. გიორგი ჭინჭარაული (№59).
- 60 კგ. - 1. არჩილ მეყოკიშვილი (№59); 2. ირაკლი თინიკაშვილი (№59); 3. გიორგი ირემაშვილი (სოფ. გლდანის საჯარო სკოლა).
- 66 კგ. - 1. ლექსო გოგოჭური (№59); 2. გიორგი ილურიძე (№138); 3. ნიკოლოზ როსტიშვილი („ალმასი“).
- 73 კგ. - 1. გიორგი მახარაშვილი (№59); 2. გიგა ტურაშვილი (№6); 3. ლევან სონღულაშვილი (№6).
- 81 კგ. - 1. მურთაზ პეტრიაშვილი (№59); 2. პავლე ნერგაძე (№6); 3. დავით მჭედლიძე (№14).

\*\*\*

„ამ ტურნირზე ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ელენე ქებაძე, რომელმაც მშვენივრად იასპარეზა. დარწმუნებული ვარ, მისი სახით საქართველოს ქალთა ძიუდოში ახალი ერა იწყება. მან ყველა შეხვედრა დამაჯერებლად - შებოჭვით მოიგო. თავიდან რომ შებოჭა, ვიფიქრეთ, რომ გაუმართლა, მაგრამ მერე მიჰყვა და ყველა წმინდად დამარცხა“ - ჭაბუკ ვაჟთა ნაკრების თავკაცი რამაზ ჩოჩიშვილი.

„ელენე ქებაძისთვის ეს პირველი წარმატებაა, თუმცა მან შარშან ზაფხულში ფინეთში, ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზეც კარგად იჩიდავა - ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა, მაგრამ იქ ფრანგ მირიტი ლენორთან დამატებით დროში დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. სამაგიეროდ, მაშინვე დაგვარწმუნა, რომ დიდი შედეგებისთვის ბრძოლა შეეძლო. დიდხანს არც დაგვკოცნა და ამ ტურნირზე პირველი მედალი მოგვიტანა. იმედია, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც წარმატებით იჩიდავებს. ამასთან, დიდი ტურნირებისკენ გზას გაუკვალავს დანარჩენებს“ - ქალთა ნაკრების თავკაცი გია თენაძე.

მწვრთნელებმა ეს შეფასება ძიუდოსტ ელენე ქებაძეზე ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ გააკეთეს, სადაც ჩვენმა ჭაბუკთა ასაკის გუნდებმა ევროპის თასზე იჩიდავეს, ლაგოდებელი მძიმეწონოსანი ქებაძე კი ჩემპიონი გახდა.

აღბათ, მწვრთნელებს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ამ წარმატებით ელენე ქებაძემ საქართველოში ქალთა ძიუდოს ახალ ეტაპს დაუდო სათავე. ჭიდაობის კულტურით განთქმულ საქართველოს გარკვეული ისტორია ქალთა ძიუდოშიც მოეპოვება, მაგრამ ეს შორეულ საბჭოთა

ეპოქაში იყო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი ქალთა ძიუდო ახალ ცხოვრებას შეუდგა. ახალი თაობის ძიუდოსტებს მედლები ადრეც მოუპოვებიათ (მათ შორის, იგივე ქებაძესაც), მაგრამ შედარებით დაბალი რანგის, ბევრად უფრო სუსტ ტურნირებზე, ოფიციალურ ანუ ევროპული თუ მსოფლიოს ფედერაციისგან აღიარებულ შეჯიბრებაში კი ეს პირველი წარმატებაა. ამ ჯილდოს შემდეგ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა ძიუდო საქართველოში სწორ გზას დაადგა და შედეგები აუცილებლად იქნება, ოღონდ ამას ცოტა დრო კიდევ დასჭირდება.

16 წლის ელენე ქებაძემ ძიუდოში ვარჯიში 2004 წელს მშობლიურ გიორგეთში დაიწყო ჯიმშერ მუმლაძესთან. ეს ის პერიოდი, როცა ათენის ოლიმპიადზე ზურაბ ზვიადაურმა უზადო გდებით იაპონელი პირში იზუმი დასცა და არა მხოლოდ საქართველოში გახდა გმირი. მაშინ მისი მაგალითით და იმ რაინდული შესტით მოხიბლულმა არაერთმა მოზარდმა მიაპურა ტატამს და მოიგო კიმონო, ოღონდ არ იფიქროთ, მათ შორის თითქოს ყველა ვაჟი იყო - ლამაზად შესრულებულმა ილეთმა გოგოებიც მიიზიდა, ამის ერთი მაგალითი კი ქებაძეა. მას, გარკვეულწილად, გაუმართლა კიდევ, რადგან იმ ხანად საქართველოში ხელახლა შეუდგნენ ქალთა ძიუდოს აღორძინებას, მათი ერთ-ერთი ბაზა კი ლაგოდებში იყო. თან მაშინ ვარჯიშის მსურველთა რაოდენობაც არ იყო ბევრი და ბავშვური ასაკის მიუხედავად, ქებაძე მაინც მოხვდა ნაკრების ხელმძღვანელთა თვალთახედვის არეალში. ცხადია, ეს წარმატების გარანტია არ იყო და ყველაფერი მის შრომისმოყვარეობაზე ეკიდებოდა, ამაში კი ჩუმი, წყნარი და დამჯერი გოგო ნამდვილი სპორტსმენის თვისებებს ავლენდა - გულმოდგინედ ვარჯიშობდა და მწვრთნელებს ყურადღებით უსმენდა. ის სა-

ერთოდ ცოტას ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ბევრს შრომობს და მისი სახელიც მუდმივად ისმოდა, როგორც ნიჭიერი მოზარდისა. ნელ-ნელა შედეგებიც მოვიდა, ოღონდ, როგორც ვთქვით, შედარებით დაბალი რანგის ტურნირებში, პირველ წარმატებას კი ბაქოში მიაღწია - იქაც ჩემპიონი გახდა.

ცხადია, ანთალიის ტურნირი ბაქოსას ბევრად აღემატებოდა სიდიდით, მაგრამ ქებაძეს მოგება დიდად არ გასჭირვებია. ამას ანგარიშიც ადასტურებს - პირველ წრეში რუსი მეტოქე არ გამოცხადდა, დანარჩენი სამი ორთაბრძოლა კი ელენემ წმინდად მოიგო! ბუნებრივია, მთელი ტურნირის ასე მოგება ყველას არ შეუძლია. „ვერ ვიტყვი, რომ ანთალიაში გამარჯვება ძალიან გამიჭირდა, რადგან კარგად ვიყავი მომზადებული - ანკარაში გავიარეთ შეკრება და იქიდან გადავედით ანთალიაში, მაგრამ იოლადაც არ მომიგია. ძალიან ძლიერი ტურნირი იყო, ბევრი მონაწილე გამოდიოდა და მეტოქეებიც ძლიერები იყვნენ. თუმცა ფორმაში ვიყავი და გავიმარჯვე“ - ამბობს ქებაძე.

მაგრამ მოგებაცა და მოგებაც, ელენეს ფინალში გამარჯვებას ფასი მისი მეტოქის, სერბი მილიცა ზაბიჩის იქედნურმა საქციელმა შეჰმატა - თურმე საჭიდაოდ გასვლის წინ ირონიულად გადახედა ჩვენებურს! მაგრამ ეს მისთვის პირველი თავხედობა არ ყოფილა, რაზეც აჯობებს, ელენეს მოვუსმინოთ: „მას ტურნირებზე ადრეც შეხვედრივარ და ყოველთვის ასე ირონიულად გადმოხედავდა ხოლმე. აღბათ, ახლაც ეგონა, რომ მომიგებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. აი, მერე კი აღარ იცინოდა უკვე, როცა მოვუყე. ილეთი მე დავინიყე, მაგრამ ვერ დავაგდე. სამაგიეროდ, გადავატრიალე და შევბოჭე“. გადავატრიალე და შევბოჭე, იოლადაა ნათქვამი, მაგრამ

არავინ იცის, რამხელა სიხარული დაიტია ამან. მწვრთნელები იხსენებდნენ, როგორ დააცხრა მეტოქეს და ისე მყარად შებოჭა, დროის ამონურვამდე გასაქანი არ მისცა.

„ეს ყველაზე უფრო ძლიერი ტურნირი იყო, სადაც კი წარმატებით მიჭიდავია. მართლაც სულ სხვა შეგრძნება იყო, ძალიან გამიხარდა. ორმაგად გახარებული ვიყავი - ერთი იმით, რომ მოვიგე, მეორე კი იმით, რომ ჩემი მწვრთნელი ვია თენაძე გავახარე“ - გვითხრა ელენემ ანთალიიდან დაბრუნების შემდეგ.

ცხადია, მისმა პირველმა სერიოზულმა წარმატებამ ყველაზე დიდი რეზონანსი ლაგოდებში, უფრო ზუსტად კი გიორგეთში და ოჯახში გამოიწვია - ჯერ ანთალიაშიც ურეკავდნენ, მერე კი მოუთმენლად ელოდნენ სოფელში. მასაც ძალიან მიეჩქარებოდა იქით - სხვა თუ არაფერი, შეკრებების გადაბრუნება საკუთარ ოჯახში, სკოლაში, მეგობრებში ყოფნა ენატრება. ვარჯიშის გამო სკოლის გაცდენაც ხშირად უნევს, თუმცა არც იმას მალავს, რომ სწავლას ვარჯიში ურჩევნია. იმედია, მასწავლებლები არც ასეთი გულახდილობის და არც გაცდენებისთვის ამიერიდან არ უსაყვედურებენ - თურმე უმიზეზოდ არ აცდენს.

„ჩემი ვატაცება ძიუდოა, გამორჩეულად სხვა მეტი არაფერი მიტაცებს. მინდა, მთელი დრო ძიუდოს დავეთვო, ჩემი მიზნები ამას უკავშირდება და მინდა, რაც შეიძლება ბევრს მივაღწიო. აი, სწავლაში კი ხელი მეშლება - ძალიან ბევრს ვაცდენ, რადგან ხშირად ვარ შეკრებებზე და სწავლას ვერ ვახერხებ“ - ამბობს ქებაძე.

აღბათ, თქვენი კერპი ზვიადაური იქნება-მეთქი, ვკითხე ელენეს, მაგრამ მოულოდნელი პასუხი მივიღე მისგან - კერპი არ მყავს, მინდა, საკუთარ თავს ვვავდეო. ესეც მისი ხასიათის ნიშანია, მისი თვით-



მყოფადობის გამოხატულება. ადამიანი, რომელიც ასე ადრეულ ასაკში ფიქრობს საკუთარი „მეს“ პოვნაზე, მიზანსაც მიაღწევს. არადა, ერთი შეხედვით, წყნარი, უთქმელი გოგოა, რომელიც ნამდვილად არ ლაპარაკობს ბევრს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრს ფიქრობს, შრომობს და მიზნისკენ ისწრაფვის, ასეთი დამოკიდებულება კი აუცილებლად მოიტანს შედეგს. ამაში გია თენაძის სიტყვებიც დამაჯერებელია, რომელიც ასე ახასიათებს შეგირდს. „ელენე უაღრესად მონესრიგებული გოგოა. იმის მიუხედავად, რომ მძიმეწონოსანია, მზატე წონების წარმომადგენლებით მუშაობს, ვარჯიშობს, შრომობს. სირბილი იქნება, ძალიან სწრაფად და სწავლა გულმოდგინედ ირჯება. შედეგიც ამიტომ მიიღო“.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაბაძე

# ჭანო ბაბრატიონის 100 წლის იუბილეს მიძღვნილი



განათლების, ჯანდაცვის, სპორტისა და ხელოვნების მოღვაწე მუშაკთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ალამის“ ინიციატივით, თბილისში, სპორტის სასახლეში მსოფლიო ხალხთა სიმღერებისა და ცეკვების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი გაიმართა. ფესტივალის საქართველოს სახალხო არტისტის, ჯანო ბაბრატიონის 100 წლის იუბილეს მიძღვნა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლები და მეზობელი ქვეყნებიდან – აზერბაიჯანი, პოლონეთი, სომხეთი და უკრაინა – მონაწილე ანსამბლები. კომპეტენტურმა ჟიურმა: **მიხეილ ლაფაჩიშვილმა** („ალამის“ პრეზიდენტი), **ვ. ტარიელაშვილმა** და **რ. ქორჩილაძემ** ფესტივალის გრანპრი და ოქროს მედლები ქართველ

მოცეკვავეებს არგუნა – გრანპრის მფლობელი 24-ე საჯარო სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლი „ლაშა-გიორგი“ (ხელმძღვანელები: თბილისის მერიის ილიკო სუნიშვილის სახელმწიფო სკოლა-სტუდიის პედაგოგ-ქორეოგრაფები: **კახა ხერხაძე და ლონდა უგულავა**). **ლონდა უგულავა**: „ეს პრიზი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც, პირველ რიგში, ამით

ჩვენი შრომა შეფასდა. პატარების გულმოდგინებამ კი ანსამბლი გრანპრიმდე მიიყვანა. ეს მართლაც სასიხარულოა, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო სკოლის თანადგომა და მადლობა გადავუხადო ბატონ გია მურდულუას თანადგომისთვის, რომელსაც, ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს წარმატებაში. ბუნებრივია, მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით და ანსამბლი აგრძე-

ლებს შემოქმედებით მუშაობას, ვემზადებით სოლო კონცერტებისთვის, რომელიც საბერძნეთსა და ბულგარეთში გაიმართება. მინვერები უკვე გვაქვს და იმედა, იქიდანაც წარმატებებით დავბრუნდებით“.

ფესტივალის მონაწილეები, ქორეოგრაფები და სკოლის დირექტორები, დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.




## ერთი ოჯახის ისტორიით გადმოცემული ქვეყნის მატინა

ქარვასლაში პროექტის – „ერთი ოჯახის კულტურული მემკვიდრეობა“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მიზანია საქართველოში არსებული საოჯახო კოლექციების გამოფენის ტრადიციის დანერგვა და მრავალი უნიკალური რელიქვიის ფართო მნახველისათვის ჩვენება. პირველი გამოფენა საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის ოჯახს მიძღვნა. კოლექციაში დაცულია იშვიათი რელიქვიები, ფოტოები, ქართველი ემიგრანტების ცხოვრების ამსახველი ფოტომასალა, საგვარეულო ლერწები, წიგნები, 1888 წელს გამოცემული მიხაი ზინის მიერ დასუ-

რათებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ეგზემპლარი. საინტერესოა ასევე ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის მეუღლის, სესილია კალანდაძის ალბომი, რომელშიც შესულია ნოე ჩხიკვაძის, გალაკტიონ ტაბიძის და გიორგი ქუჩიშვილის ხელით შესრულებული ჩანახატები. ალბომში ქალბატონ სესილიასადმი მიძღვნილი ლექსებიცაა თავმოყრილი. დღეს ეს ალბომი, მფლობელის გადაწყვეტილებით, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს ეკუთვნის. გამოფენის კურატორის, **ნინო ზალიშვილის** თქმით, ექსპოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია, პირველ

რიგში, იმიტომ, რომ უნიკალურია და კავშირშია არა მხოლოდ ერთი ოჯახის ისტორიასთან, არამედ მთელი ქვეყნისა და ხალხის ისტორიასთან, მეორე მხრივ, დღევანდელი ღონისძიება კერძო კოლექციების საზოგადოებისთვის წარდგენის ტრადიციის ჩაყრის საფუძველი უნდა გახდეს. ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავი ფერმწერი გახლდათ. მოგვიანებით, ოჯახის რჩევით, ექიმის პროფესიას დაეუფლა. მხატვრის ოჯახიდან ემიგრაციაში, საფრანგეთში ოთხი ადამიანი წავიდა. ისინი ლევილში არიან დაკრძალულნი. ბატონი ვახტანგის დეიდაშვილი რიმა ერისთავი, რომელიც საქართველოდან მერი შერვაშიძემ წაიყვანა, სილამაზით განთქმული, დიდგვაროვანი, არისტოკრატულ წრეებში მიღებული ქალბატონი გახლდათ. ცნობილი სამოდელო სახლები მისთვის სპეციალურად კერავდნენ კაბებს, რომელთაც გამოფენაზე გამორჩეული ადგილი უკავიათ. ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის ქალიშვილი, ქალბატონი მარინა ელიოზიშვილი მამას ემადლიერება არაჩვეულებრივი კოლექციისთვის: „რაც ოჯახიდან მოჰყვებოდა, ყველა ნივთს უფრთხილდებოდა და მათ მიმართ ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდა, მისი სულიერი სამყარო გახლდათ, ხშირად საკუთარ საუნჯეს უწოდებდა“.

გამოფენაზე წარმოდგენილ თითოეულ ნივთს განსაკუთრებული ისტორია აქვს. მაგალითად, მიხაი ზინის მიერ ილუსტრირებულ „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის და თამარის პროტოტიპი ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის ნათესავი ნინო წერეთელია, რომელიც ქუთაისის გუბერნატორის, ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე გახლდათ. ისინი ქაშუეთის ეკლესიაში არიან დაკრძალულნი. გამოფენის ორგანიზატორთა და ექსპონატების მემკვიდრეების 4-თვიანი დაუღალავი შრომის შედეგად დამთავალიერებელმა ესეთიტიკურ-ისტორიული მნიშვნელობის უნიკალური ექსპოზიცია იხილა.

 <p><b>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</b></p>	<p><b>მისამართი: ტაბლაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</b></p> <p><a href="http://www.axaliganatleba.ge">www.axaliganatleba.ge</a> E-mail: <a href="mailto:axaliganatleba@gmail.com">axaliganatleba@gmail.com</a>, <a href="mailto:ganatleba@mail.ru">ganatleba@mail.ru</a></p>	<p><b>რედაქციის რეკვიზიტები: საპარტოველო განკ. 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</b></p>
	<p><b>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის მისაღებად: 76096</b></p> <p><b>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.</b></p> <p><b>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.</b></p>	